ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 სექტემბერი 2001 №177 (1450) | ფასი 50 თეთრი

# 2001 წლის 17 სექტემბერი
# დავით ყიფიანის უკანასკნელი დღე



გურამ ცქიტიშვილის ფოტო

## გუშინ გზად თბილისისკენ, სოფელ წეროვანთან, ავტოავარიაში დაიღუპა დიდი ქართველი ფეხბურთელი დავით ყიფიანი



გუშინ საღამოს უამრავი ელდანაცემი ადამიანი რესპუბლიკურ საავადმყოფოსკენ მიიჩქაროდა. დავით ყიფიანის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო თბილისს. მათ, ვისაც დავით ყიფიანის მხარდამხარ უთამაშია, მათ, ვისაც დავით ყიფიანი უნახავს მოედანზე, მათ, ვისაც დავით ყიფიანის სახელი სმენია, თვალცრემლიანნი, გაოგნებულნი და დაბნეულნი თანაუგრძნობდნენ დიდი ქართველი ფეხბურთელის ოჯახის წევრებს, ნათესავებს...

გუშინ თბილისისკენ მავალი დავით ყიფიანი სოფელ წეროვანთან ავტოავარიაში დაიღუპა. იგი დაახლოებით რვის ნახევარზე მიიყვანა საავადმყოფოში ავარიის შემსწრე მოქალაქემ. ექიმები უძლურნი იყვნენ — დავით ყიფიანი უკვე გარდაცვლილიყო.

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რესპუბლიკური კლინიკის დირექტორის მოადგილემ, დავით ქოჩიაშვილმა გვითხრა: „სავარაუდოდ, ბატონ დავითს გულმა უმტყუნა, ცხადია, ამის მერე მანქანის დამორჩილებაც ვერ შეძლო და [illegible] შეეჯახა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ გულ-მკერდის და თავის არეში მიღებული ტრავმების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა".

ამ საბედისწერო შემთხვევამ ქართულ ფეხბურთს მისი ყველაზე ინტელიგენტური, ინტელექტუალური, დახვეწილი და ნატიფი შემოქმედი გამოაკლო.

**სარბიელელები ვწუხვართ დავით ყიფიანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.**









გუშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოში...

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 7 ტური

# პური და წყალი
# რამდენ ავჭალელს აჭამოს ოთარ გაბელიამ?

თბილისი. 17 სექტემბერი. 17.30 საათი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 6:0 მერანი

1:0 დარასელია (10პ), 2:0 მიკუჩაძე (27), 3:0, 4:0 ბობოხიძე (29, 73), 5:0 აფციაური (86), 6:0 თუთარაშვილი (90)

მწვრთნელი: გივი ნოდია

1 ბათიაშვილი
4 შაშიაშვილი, 3 ამისულაშვილი
7 მანწკავა, 4 შავგულიძე
2 გაბიდაური
8 ბურდული, 6 ა. სახვაძე
9 დარასელია
10 მიკუჩაძე, 11 ბობოხიძე

7 დავითაშვილი, 10 გაგუა
15 ბოლქვაძე
9 კოშკაძე, 6 ილურიძე
16 მუხინი, 5 დევიძე
4 ცქიფურიშვილი, 3 გუჯაბიძე, 2 გოგიტიძე
1 ნაჭყებია

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

შეცვლა: ილურიძე — 8. ბაჯელიძე (34), ბოლქვაძე — 11. ივერიანი (34), ბურდული — 14. აფციაური (58), კოშკაძე — 13. ი. შენგელია (66), სახვაძე — 16. მიქავა (76), დარასელია — თუთარაშვილი (76)

გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (20), გოგიტიძე (78)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცერდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

| | | |
|---|---|---|
| 7 | ჯარიმა | 9 |
| 3 | კუთხური | 0 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 9 | კარში დარტყმა | 2 |
| 0 | თამაშგარე | 1 |



მერანელი ანდრეი მუხინი ნიკა თუთარაშვილთან დაიჩაგრა

**ძალიან ძნელია** ასეთი ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ისეთ მატჩზე წერო, რომლის მონაწილე, რომ იტყვიან, ყველა ერთად აღებული არ იყო დავით ყიფიანის დარი ფეხბურთელი.

ძნელია, ისეთ უინტერესო, უაზარტო მატჩს რომ უცქერ, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ცხონებული დავით ყიფიანის საყვარელ „დინამოსთან" 0:6 მარცხდება და ეს მასხარაობა უნდა აღწერო. მით უმეტეს, ასეთ საშინელ ამბავს თამაშის დამთავრებისთანავე რომ გაიგებ და მწვრთნელთა პრესკონფერენციას ისე დაესწრები, იცი — დავით ყიფიანი დაიღუპა.

მატჩი კი რა, საკმაოდ მოულოდნელი და ასეც ითქმის, სენსაციური ანგარიშითაც დამთავრდა. „მერანის" ზონური დაცვის რბევა ჯერ კიდევ მე-10 წუთზე დაიწყო დარასელიამ — საჯარიმოში ილურიძემ ხელით ითამაშა და მსაჯმა უყოყმანოდ პენალტი დანიშნა. ჩვიდმეტ წუთში სტუმარ მცველთა შეცდომით მიკუჩაძემ ისარგებლა, მერე ბობოხიძემ. ერთს ჩინებული პასი ბურდულმა მისცა, მეორეს დარასელიამ.

არც მეორე ტაიმში შეცვლილა რამე და დინამოელებს კიდევ რომ მოენდომებინათ, ავჭალელებს ორ ამდენსაც გაუტანდნენ, თუმც შესვენების შემდეგაც სულ სამს დასჯერდნენ. ბობოხიძემ დუბლი გააზერხა, თუთარაშვილმა მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა, აფციაურმა კი ისე გააბითურა მერანელები, როგორც მთელი მატჩისას „დინამომ" საოცრად დასუსტებული სტუმარი.

პრესკონფერენციაზე კი აშკარა იყო, არც გივი ნოდიამ და არც მისმა კოლეგა ოთარ გაბელიამ დავით ყიფიანის დაღუპვის ამბავი არ იცოდნენ.

***ოთარ გაბელია, მერანის მწვრთნელი:***

— ფეხბურთელები მშივრები იყვნენ. მუხინი ერთი კვირაა, წყალზე და პურზეა, ეგ კი არა, სამი დღე შინ მყავდა და იქ ვაჭმევდი. ძალიან ცუდადაა „მერანის" საქმე. დენთი ბიჭებს ხუთი ტური გაჰყვათ, დღეს კი... კლუბის ხელმძღვანელობას წინა სეზონის ვალი აქვს და არც ამ ჩემპიონატში მოგებული მატჩებისთვის მიუღიათ ფეხბურთელებს პრემიები. ისე არ არის, როგორც გარედან ჩანს, „მერანს" ძალიან გაუჭირდა. ფეხბურთელები ამ დღეში არიან და პლუს ამას მსაჯის უხეში შეცდომები. არა, სწორად გამიგეთ, წაგებას არც მსაჯებს ვაბრალებ, არც გაუცემელ ხელფას-პრემიებს, ეგებ წაგვეგო კიდეც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასე სამარცხვინოდ არ დავმარცხდებოდით.

***გივი ნოდია, „დინამოს" მწვრთნელი:***

— ოთარ გაბელიამ სათქმელი თქვა, თუ ასეთ დღეშია მეტოქე, იოლად მოუგებ, აბა, რა. საბედნიეროდ, დინამოში ყველაფერი კარგადაა. უდავოა, „დინამოში" ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობენ, ეგაა, ცოტა გამოცდილება აკლიათ. რაც მთავარია, ჩვენი წარუმატებლობების მიზეზებში გავარკვიეთ და იმედი მაქვს, ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება. ერთი ფეხბურთელით კი გავძლიერდით, „ტორპედოდან" მეკარე ირაკლი ზოიძე გადმოვიბირეთ, მასთან კონტრაქტს სულ მალე გავაფორმებთ, სოსო გრიშიკაშვილი კი ფსიქოლოგიურად არ არის მზად „დინამოში" სათამაშოდ და მან, ალბათ, სხვა გუნდი უნდა ეძიოს.

**კობა ინასარიძე**

ბოლნისი. 17 სექტემბერი. 17.30 საათი. თემურ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 0:5 ლოკომოტივი

0:1, 0:2 დათვაძე (54, 76), 0:3 დ. გოდერძიშვილი (84), 0:4 ქორიძე (89), 0:5 დ. გოდერძიშვილი (90)

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

1 ვოლკოვი
9 სიდამონიძე
5 ბარნოვი, 3 ირემაშვილი
11 მოსეშვილი, 7 მინდიაშვილი
8 კარიაული, 10 ისიანი
6 ბ. ამბიძე
16 ბ. შენგელია
15 მინაშვილი

9 გოგიჩაიშვილი
16 დათვაძე
26 ანჩაბაძე
20 ონიანი, 15 მორჩილაძე
8 ჭიჭველიშვილი, 25 ქორიძე
2 ბალაშვილი, 4 სალუქვაძე, 6 დავითნიძე
1 ლომაია

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

შეცვლა: დავითნიძე — 13. დ. გოდერძიშვილი (46), გოგიჩაიშვილი — 22. გოგნაძე (75), ბარნოვი — 17. გლუნჩაძე (78), დათვაძე — 18. სირბილაძე (86)

გაფრთხილება: მორჩილაძე (44)

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 19 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 3 | კარში დარტყმა | 9 |
| 2 | თამაშგარე | 5 |

# ვილას ახსოვდა სიონი და ლოკომოტივი...

**ბოლნისში,** განახლებულ და გაკოხტავებულ „თემურ სტეფანიაზე", იქაურთა სათაყვანებელმა „სიონმა" უსახელოდ წააგო. რკინიგზელებმა დაძაბული პირველი ტაიმის შემდეგ ტემპს უმატეს. ამას მათივე თავკაცის სწორად განხორციელებული შეცვლები დაემატა და მასპინძლებმა ხუთი უპასუხო გოლი მიიღეს.

თემურ მახარაძის გუნდს ცუდად არ დაუწყია. ბოლნისელები მეტოქეს ვერ სჯობდნენ, მაგრამ არც ეჩაგვრინებოდნენ. მერე და მერე იძალა „ლოკომოტივმა", უფრო სწორად, სტუმართა შუა ხაზმა და სათამაშო უპირატესობაც რკინიგზელებმა იგდეს ხელთ.

თამაშის განმავლობაში რამდენჯერმე შეცვალა თემურ მახარაძემ თავისი გუნდის სათამაშო განლაგება. ჩემი აზრით, ამიტომაც წააგო „სიონმა". დათვაძეს, ანჩაბაძეს და ჭიჭველიშვილს აღვენებულმა პერსონალურმა მეურვეებმა — კარიაულმა, ბესიკ შენგელიამ და ბარნოვმა დავალებას თავი ვერ გაართვეს. დათვაძემ ორი გოლი გაიტანა, ანჩაბაძე მასპინძელთა კართან შექმნილი თითქმის ყველა საგოლე მომენტის შემოქმედი იყო, საგოლე პასი ჭიჭველიშვილმაც მიითვალა.

ალბათ შეცდომა იყო შენგელიას თავდასხმიდან ნახევარდაცვაში ჩამოწევა. ისიანის ჯერ შეტევაში, მერე შუა ხაზში მონაცვლეობა, ყველაფერთან ერთად „სიონს" ტრავმირებულებიც აკლდნენ. შალვა ლაცაბიძე, მურმან გოგოლაძე, დავით სვანიძე და ზვიად პაპიძე დიდი ძალაა ბოლნისელთათვის.

„სიონს" საგოლე მომენტი არ ჰქონია, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. სტუმართა მეკარეს პირველ ტაიმში არ უნერვიულია, თორემ მეორეში გვარიანად გაისარჯა. ჯერ მამუკა მინაშვილის გაცუდებული დარტყმის შემდეგ სწორად გადაფარა ახლო კუთხე, მერე კი ამბიძეს აული მარჯვენა დაბალ კუთხეში ძლიერად დარტყმული. ბოლნისელებმა ერთხელაც ძელს გაარტყეს ბურთი, მაგრამ იმ დროისთვის მატჩის ბედი გადაწყვეტილი გახლდათ.

...მარჯვენა ფლანგზე ანჩაბაძემ მეტოქე მოატყუა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. ვოლკოვი კარის ხაზს ვერ მოსცილდა, მოსეშვილმა ბურთის ტრაექტორია ვერ გათვალა, ხოლო მეკარის ბაქანში ჩასაფრებული ტანმორჩილი დათვაძის თავური ზუსტი გამოდგა.

...შეტევა ანჩაბაძემ დაიწყო, მეტოქის ნახევარზე ბურთიანად გადასულმა ორი შესაძლო ვარიანტიდან საუკეთესო გაგრძელება აირჩია. საჯარიმოში შეჭრილ გოდერძიშვილს არა და ბურთი საჯარიმოსთან მდგომ ჭიჭველიშვილს მიაწოდა. მან დათვაძეს გაუჭრა, რომლის ერთი შეხებით დარტყმული ვოლკოვისთვის აულებელი აღმოჩნდა.

...„სიონის" მოშლილი შუა და უკანა ხაზი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ამჯერად ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას ჩავარდნენ ბოლნისელები და გოდერძიშვილმა ზედ კარის ხაზთან დაუხვედრა ბურთს ფეხი.

...გელა ქორიძემ შუიდან გაარღვია ბოლნისელთა დაცვა და მცველებისგან გარშემორტყმულმა ვოლკოვს მოჭრილი დარტყმით გაუტანა.

გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა. „სიონს" ბოლო მისმა ყოფილმა მოთამაშეებმა — დათვაძემ და გოდერძიშვილმა მოუღეს. ამით იძიეს შური ქომაგთა მხრიდან მათი მისამართით ნასროლ უწმაწურ სიტყვებზე. ორივემ დუბლი შეასრულა, დავით გოდერძიშვილმა „ლოკომოტივისთვის" მეხუთე გოლი სულაც ცენტრიდან გაიტანა. თავისი ნახევრიდან მეურვეს სირბილში აჯობა, მეტოქის ნახევარზე ფეხშედგმულმა მისკენ წამოსულ ვოლკოვს თვალი ჰკიდა და ბურთს ფეხი ამოსცხო კიდეც. მისთვის სიზუსტეს არ უმტყუნია.

ამ დროისთვის ტრიბუნაზე ქომაგი, ხოლო საპატიო სტუმართა ლოჟაში „სიონის" წარმომადგენელთა რიცხვი განახევრებულიყო. ბოლომდე ფეხი არ მოუცვლიათ ალას და ფანებს. ერთი შეულრინეს მსაჯებს, რომელთაც გუშინ სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ და დადუმდნენ.

თამაშის შემდეგ ცარიელი იყო „თემურ სტეფანიას" ჩინებული საპრესკონფერენციო ოთახი. თემურ მახარაძე არსად ჩანდა, ხოლო კახა ცხადაძემ იქვე, საპრესკონფერენციო ოთახის წინ, მინდორზევე კომენტარი არ დაიზარა, თუმც...

შედეგით კმაყოფილი ვარ. მეორე ტაიმშიც კარგად ვითამაშეთ... „ლოკომოტივის" თავკაცი რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ უცბად ვილაცამ დაიძახა, დავით ყიფიანი დაიღუპაო. ამის შემდეგ „სიონ" — „ლოკომოტივი" არავის უხსენებია...

# ᲤᲝᲗᲘ ᲐᲗ ᲬᲣᲗᲨᲘ ᲩᲐᲘᲫᲘᲠᲐ

ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ ბათუმიდან

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ზღვისპირულ დერბის სჩვევია, კვირას „დინამოზე“ გამართული მატჩი საკმაოდ დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა. როგორც ცა და მიწა, ორი ისეთი განსხვავებული ტაიმი იხილა მაყურებელმა. თუ პირველ ნახევარში კოლხები იყვნენ მოედნის ბატონ-პატრონნი, მეორეში სრულიად საპირისპირო მოხდა. „ბათუმმა“ საწყისი წუთებიდანვე მძიმე გამოცდა მოუწყო მეტოქეს და საბოლოოდ გვარიანად შეარცხვინა.

არადა, დებიუტი „კოლხეთისთვის“ ისეთი იყო, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. მე-14 წუთზე, შეტევაში ჩართულმა ქობულაძემ მარცხნივ კვირკველიას გაუჭრა. დათომ ჩინებულად ითამაშა, მცველი ეფექტური ფინტით იოლად გააცურა და სამეკარეოში გამოზომილი პასიც გააკეთა. იქ კი წივწივაძემ წამით დაასწრო არჩვაძეს და ვარდნაში თავით გასატანად დაჰკრა.

მიუხედავად იმისა, რომ ორიოდ წუთში „ბათუმმა“ მეტოქეს მწვავედ უპასუხა და მაჭუტაძემაც რეალური შანსი დაკარგა, სტუმართა უპირატესობა მაინც თვალშისაცემი იყო. უნიათოდ და უგოლოდ გარჯილ ბათუმელებს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა სულ უფრო უჭირდათ. კოლხებს მოედნის ცენტრი დაეპყროთ და ფლანგების საშუალებით შეტევის წარმართვა არ უჭირდათ. ტაიმის შუაწელშივე შეიძლებოდა თამაშის ბედის გადაწყვეტა, კვეტენაძეს მარცხენა ფლანგზე წამოწყებული დრიბლინგი გოლით რომ დაეგვირგვინებინა, მაგრამ ცოტა დააკლდა. მალე მანვე შორიდან ერთობ სახიფათოდ დაარტყა და ჭანტურიას ბედად, ბურთმა მარჯვენა ძელს მილიმეტრებში გაუზუზუნა.

ტაიმის ბოლოსკენ მასპინძლებმა გაიღვიძეს და ორი სახიფათო მომენტიც შექმნეს. ორჯერვე აფხაზავა უტევდა და ორჯერვე მამუკა გვასალიასთან ჭიდილში ვერას გამორჩა. პირველ ეპიზოდში მაჭუტაძემ გონივრული პასით აფხაზავა მეკარეს კი შეატოვა, მაგრამ დარტყმულს გვასალია მედგრად დაუხვდა და ფეხით შეძლო ხიფათის აცილება. მეორედ კი კოლხთა გამოცდილმა გოლკიპერმა სიტუაციას ალღო აუღო, კარიდან დროულად გამოვიდა და ეულად დარჩენილ აფხაზავასვე წამით დაასწრო.

ასეთი თამაშის შემდეგ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ „კოლხეთს“ მეორე ტაიმში დიდი პრობლემები გაუჩნდებოდა. თუმცა კაცი ბჭობდა და ტულუში იცინოდა. დიახ, მისი გამოჩენა და „ბათუმის“ გაალმასება ერთი იყო. ასლან ბალაძემ შესვენებაზე დასკვნები დროულად გამოიტანა და ინერტულად გარჯილ რომანაძეს მარცხნივ ტულუში შეუნაცვლა. გაუმართლა კიდეც. სადღა იყო კოლხთა თავდაჯერება, სტუმრები გატყდნენ და მასპინძელთა ბატონობა ყველა კომპონენტში წარმოჩნდა.

თამაშის განახლებისთანავე დაცხა კოლხთა საჯარიმოში. გვაზავამ ტყვიასავით გაისროლა და გვასალიას რომ არ ეყოჩაღა, გოლი გარდაუვალი იყო. და მაინც, ტაიმის პირველი მესამედის მიწურულს მასპინძელთა ათწუთიანი აბობოქრება საკმარისი გამოდგა ყოველგვარი ინტრიგის ჩასაცხრობად. სამი გოლი გავიდა დროის ამ მცირე მონაკვეთში და სამივე მასპინძლებისა.

პირველი გოლი ტულუშის ეფექტურ რეიდს მოჰყვა. მან სამ მცველს ჩაუქროლა, მარჯვნიდან კარსაც შეუტია და წინ გამოსული მეკარე პაუზაზე დაიჭირა. გვასალიას თავზე გადავლებულ ბურთს ზედ კარის ხაზზე მაჭუტაძე დაუხვდა და კარში ჩამდგარ აკობიას იოლად გაუტანა.

ვინ აცალა კოლხებს გონს მოსვლა, სამიოდ წუთში „ბათუმი“ წინ გავიდა. არჩვაძის გრძელი გადაცემა ფლანგზე მყოფმა მაჭუტაძემ უმალ საჯარიმოში გადაგზავნა, სადაც აფხაზავამ ბურთი დარჩიძეს დაუგორა. დარჩიძის დარტყმულს გვასალია ყოჩაღად კი შეეგება, მაგრამ მოგერიებულს მაჭუტაძემ დაამატა.

კიდევ რამდენიმე წუთი და ამ გოლის ტყუპისცალი გამოაცხვეს მასპინძლებმა. ამჯერად ქაცარავამ შეუტია მარჯვნიდან და დარჩიძეს ცენტრში დაუგორა. ამან ბურთი ძელს კი გაარტყა, მაგრამ ასხლეტილს აფხაზავამ თავი დაუხვედრა და 3:1.

საოცარი იყო კოლხთა არეული უკანა ხაზის ხილვა, სადაც სრული ქაოსი სუფევდა. „ბათუმის“ ენთუზიაზმი ამის შემდეგ ოდნავ ჩაცხრა, თორემ ვინ იცის, „კოლხეთს“ კიდევ რა ბედი ეწეოდა. თუმცა თამაშის მიწურულს მამუკა გვასალიას კარში გოლი მაინც გავიდა. კვლავ მაჭუტაძემ ივარგა, აფხაზავას პასი გამოიყენა და ჰეთ თრიქიც გაჩარხა.

ესეც ასე. „ბათუმი“ საკუთარ კედლებში უძლეველობის მითს სულ უფრო იმტკიცებს, კოლხთა თავკაც სოსო ფილიას კი დიდი საფიქრალი გასჩენია. ჯერ ერთი, გუნდი მეორე ტაიმს უკვე მერამდენედ აგდებს, ხოლო უკანა ხაზის სისუსტე რომ „კოლხეთის“ აქილევსის ქუსლია, ეს უკვე ცხადზე ცხადია.



პაატა მაჭუტაძის (მარჯვნივ) მეორე გოლმა „კოლხეთი“ წელში გატეხა

ბათუმი. 16 სექტემბერი. 17.30 საათი. დინამო. 2 000 (ტევადობა 20 000)

## ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 4:1 ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ

0:1 წივწივაძე (14), 1:1 მაჭუტაძე (60), 2:1 მაჭუტაძე (63), 3:1 აფხაზავა (70), 4:1 მაჭუტაძე (89)

25 ჭანტურია
18 თურმანიძე
4 არჩვაძე
3 მინდაძე
5 გვაზავა
7 ხუჯაძე
6 ქაცარავა
8 რომანაძე
17 დარჩიძე
9 მაჭუტაძე
11 აფხაზავა

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ასლან ბალაძე

8 წივწივაძე
17 მუმლაძე
18 კვეტენაძე
11 კვირკველია
20 ე. გვასალია
5 დ. ქობულაძე
4 მიქელთაძე
16 აკობია
10 ფანჩულიძე
3 ტორჩინავა
1 მ. გვასალია

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: სოსო ფილია

ᲨᲔᲪᲕᲚᲐ: რომანაძე — 10. ტულუში (46), მუმლაძე — 9. ყურაშვილი (50), აკობია — 7. კრასოვსკი (70), დარჩიძე — 14. კობიძე (81), მაჭუტაძე — 14. ბეჟანიძე (90)

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: მინდაძე (48), ქობულაძე (49), აკობია (67)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 19 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 10 | კარში დარტყმა | 5 |
| 8 | თამაშგარე | 0 |

# ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲝ, ᲒᲕᲨᲝᲠᲓᲔᲑᲘ? ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲘᲪ ᲛᲘᲔᲬᲔᲕᲐ

ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ ზესტაფონიდან

**ᲛᲐᲢᲩᲘᲡ** შედეგი უთანასწორო ორთაბრძოლაზე კი მიგვანიშნებს, ოღონდ თავშივე ვიტყვით, მართალია, ზესტაფონში ნასტუმრებმა ჩემპიონმა დიდი ანგარიშით სძლია გაჭირვებაში მყოფ მასპინძლებს და ზედიზედ მეშვიდე სამქულიანი მიითვალა, მაგრამ ეს გამარჯვება მას იოლად არ რგებია. „მეტალურგს“ ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, პირველ ტაიმშივე ერთი-ორს მაინც გაუტანდა ქუთაისელებს და მაშინ საბოლოო ანგარიშიც, ალბათ, სხვა იქნებოდა. რას იზამ, ფორტუნა ძლიერსაც წყალობს...

„ტორპედომ“ ამ შეხვედრისთვის დანიურ „კოპენჰაგენში“ გახიზნულებული მიხეილ აშვეთიას გარდა ვარჯიშისას დაშავებული მცველი ვახტანგ ხვადაგიანი და წინახაზელი ზვიად ქუთათელაძე მოისაკლისა. რევაზ ძოძუაშვილს, ბუნებრივია, კორექტივების შეტანა მოუხდა. მარჯვენა მცველად ტრავმამოშუშებული ვახტანგ აკოფიანი გაამწესა, თავდასხმის ცენტრში კი დიმიტრი პარამონოვი მოგვევლინა. სტუმრებმა რიხიანად დაიწყეს, შეტევას შეტევა მიაყოლეს და მალევე დაწინაურდნენ. იონანიძის პასის შემდეგ პარამონოვი მარდად დაუსხლტდა მეურვეს, სწრაფად შეიჭრა საჯარიმოში და კარშიც ძლიერად და ზუსტად დაარტყა. აღრიანად გაშვებულმა, რა თქმა უნდა, მასპინძლები დაალონა და დააბნია. მომდევნო ათ წუთში ტორპედოელებს გატანის ორი შესაძლებლობაც მიეცათ. ჯერ თოდუამ გაინავარდა მარცხენა ფლანგზე და კარგად ჩააწოდა მასპინძელთა საჯარიმოში მყოფ დიდავას, რომელმაც დარტყმა არ დაახანა, ოღონდ ძელს მოარტყა ბურთი. მერე ასათიანი-თოდუა-პოროშინის კომბინაცია ამ უკანასკნელმა სახიფათო დარტყმით დაასრულა, მაგრამ მერკვილიშვილმა იმარჯვა.

ამის შემდეგ იყო, მასპინძლებმა, როგორც იქნა, ძალა რომ მოიკრიბეს, ჩემპიონს იქეთ შეუტიეს და საკმაოდ მძლავრადაც. ყოველ შემთხვევაში, „ტორპედოს“ კარგა ხნით უკან დახევა მოუხდა და მცველებსაც დიდი ჯაფა დაადგათ, განსაკუთრებით კი აბრამიძეს, რომელსაც ტანმორჩილი კრავეიშვილი უქმნიდა პრობლემებს. სწორედ კრავეიშვილმა დააფრთხო პირველად ქუთაისელები. მე-18 წუთზე მემარნიშვილმა მას მარჯვნიდან ჩააწოდა და ფორვარდმაც საჯარიმოს წინა ხაზიდან დაბალი დაურტყა გვარამაძეს, რომელიც ძელთანღა მისწვდა ბურთს და კუთხურზე გადაგდება მოახერხა. წუთში „ტორპედო“ ისევ გადაურჩა გოლს. ამჯერად გეწაძემ დაარტყა ძლიერად დაახლოებით 18 მეტრიდან, ტორპედოელი მცველის ფეხიდან ბურთი ჰაერში აიჭრა და, ალბათ, კარშიც ჩაეშვებოდა, გვარამაძეს რომ არ ემარჯვა და ბოლო მომენტში ხარიხაც არ შეშველებოდა მეკარეს. მეტოქის კარის დალაშქვრის მესამე ხელსაყრელი შანსიც ვერ გამოიყენეს ზესტაფონელებმა. 30-ე წუთზე გეწაძემ კარგად შეაგება თავური სუხიაშვილის ჩაწოდებულს, მაგრამ მცირედით ააცილა. შესვენებამდე დარჩენილ დროში თამაშის ტემპმაც იკლო და საინტერესოც არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ტორპედოს“ პარამონოვი დაუშავდა. მასპინძლებმა კი გასათანაბრებლად გაიწიეს და ახლოსაც იყვნენ მიზანთან. ამაშუკელმა, ვინც კრავეიშვილთან ერთად გამორჩეული გახლდათ ზესტაფონელთა შორის, გრძელი გადაცემით თავზე დაასვა ბურთი გეწაძეს, რომელმაც კარისკენ კი დაარტყა, მაგრამ გვარამაძეს ვერ აჯობა. ამ ეპიზოდიდან წუთში მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. უწყინარ სიტუაციაში ზესტაფონელმა მცველებმა საკუთარი საჯარიმოს წინ გაითამაშეს ბურთი, ლურსმანაშვილმა, წინ დავარტყამო და ძლიერად უთავაზა, ოღონდ დარტყმულს პოროშინი გადაელობა, რომლის ფეხიდან აჭრილმა ბურთმა ჰაერში რკალი მოხაზა და კარიდან წინ გამოსული მერკვილიშვილის ზურგსუკან ბადეში ჩაეშვა. გაიხარა „ტორპედოს“ უკრაინელმა ლეგიონერმა, ეს ხომ მისი პირველი გოლი გახლდათ ახალ გუნდში.

კურიოზულმა გოლმა საბოლოოდ გატეხა „მეტალურგი“. სამ წუთში მასპინძელთა საჯარიმოში დიდავამ ქემოკლიძესთან გაითამაშა „კედელი“ და ახლოდან აუღებელი დაურტყა მერკვილიშვილს. მესამეს მალე მეოთხეც უნდა მოჰყოლოდა. გიორგი შენგელია აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ზედმეტად ატარა ბურთი და კარშიც უხეიროდ დაარტყა.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში ზესტაფონელებს ჰქონდათ მშრალი ანგარიშით მარცხისგან თავის დაღწევის შანსი, მაგრამ არც ამჯერად გაუმართლათ. ამაშუკელის გადაცემის შემდეგ გურეშიძის თავური ხარიხამ აისხლიტა.

თუ გახსოვთ, სეზონისწინა სამზადისში „ტორპედო“ და „მეტალურგი“ სამჯერ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ჩემპიონმა სამივე ამხანაგურში იმარჯვა (6:1, 1:0, 8:1). ჰოდა, არც ოფიციალურ მატჩში უღალატა ტრადიციას.

ზესტაფონი. 16 სექტემბერი. 17.30 საათი. ცენტრალური. 2 000 (ტევადობა 10 000)

## ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ 0:3 ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ

0:1 პარამონოვი (3), 0:2 პოროშინი (57), 0:3 დიდავა (60)

1 მერკვილიშვილი
3 პ. ლურსმანაშვილი
14 მემარნიშვილი
4 მერებაშვილი
5 მაღლაკელიძე
16 გეწაძე
7 ჭყონია
6 ამაშუკელი
8 სუხიაშვილი
11 ფირცხალაიშვილი
10 კრავეიშვილი

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ზაურ ჩუბინიძე

25 პარამონოვი
19 პოროშინი
2 იონანიძე
10 ასათიანი
6 ქემოკლიძე
4 დიდავა
5 თოდუა
21 აკოფიანი
3 მახვილაძე
12 აბრამიძე
1 გვარამაძე

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: რევაზ ძოძუაშვილი

ᲨᲔᲪᲕᲚᲐ: ასათიანი — 15. ახალკაცი (46), პარამონოვი — 8. ბაბუნაშვილი (49), პოროშინი — 7. გ. შენგელია (60), ფირცხალაიშვილი — 15. ქურციკიძე (60), ლურსმანაშვილი — 17. მ. ლონდაძე (62), გეწაძე — 18. გურეშიძე (68)

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ბაბუნაშვილი (65)

ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ი. შალამბერიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი)

ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ი. მჭედლიშვილი

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 23 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | თამაშგარე | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორთოდოქსული ჯიბრისწყვა მცხეთაში

**დავით თავართქილაძე მცხეთიდან**

**ამ მატჩისგან** დიდად საინტერესოს არაფერს ველოდით, მაგრამ ასეთი უხიაკო ბურთაობით მაინც გაწბილებული დავრჩით. „სამგურალის“ გაცილებით მედგარი წინააღმდეგობის გაწევა მართებდა, „ვიტ ჯორჯიას“ კი უკეთო ლადი თამაში. ამ მატჩის შემხედვარე ის ორთოდოქსებიც შეიცვლიდნენ აზრს, რომლებიც უმაღლეს ლიგაში გუნდების შემცირების პოლიტიკას აკრიტიკებენ.

მასპინძელთა იტალიელმა დამრიგებელმა, რომელსაც კლუბმა თარჯიმნის ყოლის ფუფუნება მოუსპო, ორკაციანი დაცვით ანუ მისთვის ჩვეული განლაგებით ათამაშა გუნდი.

კარნევალის ვიტელებმა თავიდანვე მედგრად შეუტიეს, თუმც ქაოსურად, არეულად. გუნდს მონოლითურობა აკლდა, მაგრამ მეტოქის სისუსტის ხარჯზე თამაშს მაინც თავისი კარნახით წარმართავდა. ვიტელთა ფაქტობრივად სამკაციანი თავდასხმა შეუთამაშებლად გამოიყურებოდა და ვითარების გამწვავებაც ნახევარდაცვამ იკისრა.

თედო ბოდოკიას ალეკო გოგობერიშვილი გოლამდე ორჯერ დაემუქრა. ჯერ დაახლოებით 35 მეტრიდან დარტყა საჯარიმო და სტუმართა მეკარის ვაინაჩრობით ბურთი კუთხურზე გადაავლო. მერე ფლანგური ჯარიმიდან სცადა ბედი გოგობერიშვილმა, მაგრამ ოლენ ხარიხას გარტყმულ ბურთს გამორჩა. მესამე ცდაზე, გიორგი ადამიას ჩაწოდებულის შემდეგ კი ვიტელთა კაპიტანმა ანგარიში გახსნა — ახლოდან დარტყმული ბოდოკიამ მოიგერია, მაგრამ დამატებულს ვერაფერი მოუხერხა.

ვიტელები შეტევებს განაგრძობდნენ, თუმც მორიგი ხიფათი კონტრიერიშით შექმნეს — მირზა მერლანმა ბურთი წინ ისე გაგზავნა, რომ ადამია მარტო შეატოვა ბოდოკიას, მაგრამ ვიტელთა შემტევმა ოდნავ რთული მდგომარეობიდან „სამგურალის“ გოლკიპერს ვერ აჯობა.

შემდეგ გოგობერიშვილმა და ადამიამ ერთი შეხებით გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ვიტელთა კაპიტანი წყალტუბოელთა საჯარიმოში წააქციეს, მაგრამ ჭვინტი მაინც წაჰკრა ბურთს, რომელიც ძელმა აისხლიტა.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა. თუმც როცა ადამიამ მუჯირის პასით მეორედ დაალონა ბოდოკია, თამაში კიდევ უფრო მშვიდი და მდარე გახდა — ვიტელებმა გამარჯვება ირწმუნეს, წყალტუბოელები კი ბედს შეურიგდნენ.

ბოლო წუთებზე „სამგურალმა“, ვერ ვიტყოდი, რომ გაიბრძოლა, უბრალოდ, მეტოქის ზერელე თამაშით ისარგებლა და მიქაძემ ცაციით შორეულ კუთხეში გაუტანა მერლანს — ვიტელთა დაცვას „სამგურალის“ ფორვარდისთვის ხელი არაფრით შეუშლია.

აი, ასე სძლია ხალათით და მაკარონით ნაკვებმა „ვიტ ჯორჯიამ“ ცქრიალებს. ორთოდოქსები კი თვით მცხეთაში, ჯვარსა და ხამთავროს შორის მოქცეულ მინდორზე დააყენეს მწარე სამართლესთან.



ვიტელ გიორგი ადამიას (მარჯვნივ) ლევან ქობულაძემ (№5) ბურთი ვარდნითაც ვერ აართვა

მცხეთა. 16 სექტემბერი. 17.30 საათი. „არმაზი“. 400 (ტევადობა 3000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 სამგურალი

1:0 გოგობერიშვილი (30), 2:0 ადამია (49), 2:1 მიქაძე (88)

1 მერლანი

4 კობიაშვილი, 24 ინწკირველი

6 ფეიქრიშვილი, 23 თედორაძე, 9 ნოზაძე, 5 მუჯირი

7 გოგობერიშვილი

15 ბეროშვილი, 22 ადამია

16 წუწუნავა

11 ვაჩიბერაძე

10 დარსაძე, 12 კ. ჯანაშია, 15 კომალიაშნი

16 ცომაია, 2 ზერაძე

14 ჭელიძე, 4 ზანძელაძე, 5 ქობულაძე

3 ფრანგიშვილი

1 ბოდოკია

მწვრთნელი: გია გიგატაძე

შეცვლა: ბეროშვილი — 2. არეშიძე (43), ქობულაძე — 19. ხუნდაძე (46), ვაჩიბერაძე — 18. გ. ა. მიქაძე (46), წუწუნავა — 19. სულთანიშვილი (81), ცომაია — 17. ლონაძე (67), ფეიქრიშვილი — 13. კვარაცხელია (80)

გაფრთხილება: სულთანიშვილი (81)

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

| | | |
|---|---|---|
| 2 | ჯარიმა | 6 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

# ფულები. ქულები. მსაჯები. ქრთამები...

**კახა შალამბერიძე რუსთავიდან**

**„რუსთავის** „გორდას“ წინააღმდეგ ასეთმა ქმედებებმა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. მსაჯობა ისევე, როგორც წინა ტურებში, დღესაც ამაზრზენი იყო. გაპროტესტებასაც არავითარი აზრი არა აქვს, მაინც არავინ დაგვიჯერებს. დღეს დამარცხდა არა „გორდა“, არამედ ქართული ფეხბურთი. ჩვენ იმიტომ ვიჩაგრებით, რომ მსაჯებს ფულს არ ვაძლევთ. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, მალალურაძეს სამუდამოდ ავუკრძალავდი მსაჯობას“ — ცხარობდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რუსთავის „გორდას“ პრეზიდენტი თემურ ბუილიშვილი. ბოლოს კი გუნდის ჩემპიონატიდან ჩამოშორებითაც დაიმუქრა. იგივე აზრის იყვნენ მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი და კლუბის სხვა წარმომადგენლებიც.

თემურ ბუილიშვილი ამას არ დასჯერდა და ლანჩხუთის „გურიას“ ხელმძღვანელობა მსაჯების მოქრთამვაშიც დაადანაშაულა — კარგად დავინახე მატჩამდე საათნახევრით ადრე მსაჯთა ოთახში ათასი უცხო პიროვნება რომ შედიოდა. მაშინვე მივხვდი რაც გველოდა დღეს, თუმც დუმილი ვარჩიე. ახლა კი ვერაფერი გამაჩერებსო — აღშფოთებული იყო ბუილიშვილი.

სკანდალური გამოდგა „გორდა“ — „გურიას“ მატჩი, თუმც პირველი ტაიმის შემდეგ ამას ვერც წარმოვიდგენდით. მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და მალე ანგარიშიც გახსნეს. 25-ე წუთზე სტუმართა კაპიტანმა თამაზ გაბრიჭიძემ საკუთარ საჯარიმოში არმაზ ჯელაძე წააქცია და მალალურაძემ უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ჯულელმა მეკარეს შანსი არ დაუტოვა და ამ გოლით ასიანთა კლუბის წევრიც გახდა. რამდენიმე წუთში ჯულელს მეორე გოლის გატანაც შეეძლო — ორ მცველს გაცდენილმა კარშიც დაარტყა, თუმც დოლიძემ „გურია“ გადაარჩინა. ამის შემდეგ თამაში დუნედ გაგრძელდა. სახიფათო მომენტები არც ერთ კართან არ იქმნებოდა. ტაიმის მიწურულს კი „გურიას“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ ორმაგი ცვლილება მოახდინა — მოედანზე კახა ებრალიძე და გამოცდილი ზვიად ენდელაძე გაიყვანა. სწორედ მათ შეიტანეს თამაშში დიდი გარდატეხა და ლომის წილი დადეს სტუმართა გამარჯვებაში.

შეხვედრის მეორე ნახევარი გურულთა უპირატესობით დაიწყო. 55-ე წუთზე ხუჭუამ 17-18 მეტრიდან შემობრუნებით ურთულესი და ულამაზესი დარტყმა შეასრულა, ბედიაშვილმა ბურთი ნახტომში მოიგერია. ამასობაში სანდრო ბურნაძე დაშავდა და შესაცვლელი გახდა. მალე მეტრეველმა გაუშვა გოლის გატანის კარგი შანსი ხელიდან, რასაც მასპინძელი პეტრიაშვილის გაცუდებული მომენტი მოჰყვა. 75-ე წუთზე კი კუთხურიდან გადმოვარდნილ ბურთს ოციოდე მეტრიდან შეცვლაზე შესულმა გოჩა სულაკაძემ ამოსცხო და ცხრიანში გააზვია — 1:1. ხუთიოდ წუთში „გურიას“ დაწინაურებაც შეეძლო, თუმც გამოცდილმა ზვიად ენდელაძემ ორი ასპროცენტიანი მომენტი ქარს გაატანა. ჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილს ბედიაშვილმა აჯობა, წუთის შემდეგ კი ბედიაშვილი-ლაბაძის შეუთანხმებელი მოქმედებით ვერ ისარგებლა.

81-ე წუთზე ისევ რუსთაველთა გოლკიპერის საბედისწერო შეცდომა და ენდელაძეს ცარიელ კარში ბურთის შეგდება არ გასჭირვებია.

აქედან მოყოლებული შეხვედრა ნერვიულად გაგრძელდა. მასპინძლები გაოგნებულნი იყვნენ ანგარიშით, თუმც სტუმრები თავგანწირვით იბრძოდნენ და მეტოქეს შეტევის საშუალებას არ აძლევდნენ.

შეხვედრის ბოლოს „გორდამ“ მაინც შეძლო შტურმისმაგვარის მოწყობა „გურიას“ კართან. ჯერ დავით პეტრიაშვილმა გადაუგდო თავზე ბურთი მეკარეს, ძელიდან ასხლეტილი კი კახა ალადაშვილმა კარისკენ დაარტყა. ბურთი გზად ერთ-ერთ სტუმარს მოხვდა და „გურიას“ კარისკენ წავიდა, საიდანაც მცველმა რის ვაი-ვაგლახით ნახტომში თავით გამოიტანა. რუსთაველები პენალტს ითხოვდნენ, აქაოდა, ბურთი ხელზე მოხვდაო, თუმც მერაბ მალალურაძემ მასპინძელთა პროტესტს ყური არათხოვა. მერე კი გოლიც გაუქმდა. ჯელაძემ მოედნის ცენტრში ორი მეტოქე გაათამაშა, მაგრამ ბურთი წინ გაექცა, რომელსაც თამაზ გაბრიჭიძე დაეუფლა. ჯელაძემ ბოლომდე იბრძოლა და მეტოქეს ბურთი ვარდნაში აართვა. მალალურაძემ წესების დარღვევა დააფიქსირა, თუმც თავდამსხმელმა თამაში განაგრძო და გოლიც გაიტანა. მატჩის არბიტრმა გოლი, ცხადია, არ ჩათვალა. ამან მასპინძელთა აღშფოთება გამოიწვია. ფეხბურთელები მალალურაძეს მისცვივდნენ, თუმც ამით რას შეცვლიდნენ.

**სოსო ფრუიძე:** ეს მოგება ჩემთვისაც და გუნდისთვისაც ბევრის მნიშვნელობა გარდა იმისა, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ, ფსიქოლოგიურადაც წინ წავედით. ბიჭებმა მოინდომეს და ბოლომდე იბრძოლეს. ყურების ჩამოყრას არ ვაპირებთ, ჯერ ყველაფერი წინაა.

**იასონ ალადაშვილი:** ვულოცავ ჩემს კოლეგას გამარჯვებას. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მერე კი მსაჯმა „თავისი საქმის“ გაკეთება დაიწყო. ეს პირველი შემთხვევა არ არის. მსაჯები წინა ტურებშიც არ გვწყალობდნენ. დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თუ მათ ფულს არ გადაუხდი, წაგებას უნდა შეეგუო.

რუსთავი. 16 სექტემბერი. 17.30 საათი. ფოლადი. 2000 (ტევადობა 10 870)

## გორდა 1:2 გურია

1:0 ჯულელი (25პ), 1:1 სულაკაძე (75), 1:2 ენდელაძე (81)

1 ბედიაშვილი

მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

3 ბურნაძე

23 ლაშა სილაგაძე, 11. ბექაური, 2 ა. ლურსმანაშვილი

15 მიშველიძე, 21 კ. ალადაშვილი, 8 მელაძე, 20 გოცირიძე

5 ჯელაძე

9 ჯულელი

11 კ. მეტრეველი

9 მარლიშვილი, 13 დ. ოდიკაძე

17 კაციაშვილი, 6 პატარიძე, 15 ხუჭუა

14 ფაცურია, 3 ორბელაძე, 8 განევი

4 გაბრიჭიძე

1 გ. დოლიძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

შეცვლა: პატარიძე — 2. ებრალიძე (40), ოდიკაძე — 12. ენდელაძე (40), მელაძე — 17. პეტრიაშვილი (56), ბურნაძე — 13. ზვიად ლაბაძე (66), გოცირიძე — 16. ლ. კაპანაძე (66), ხუჭუა — 7. სულაკაძე (72)

გაფრთხილება: მელაძე (28), მეტრეველი (39), ჯელაძე (60), სულაკაძე (78), მარლიშვილი (88)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგავა (თბილისი); ა. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. კოკაია

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჯარიმა | 16 |
| 1 | კუთხური | 8 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 5 | თამაშგარე | 5 |

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 19:1 | 21 |
| მერანი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:8 | 16 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:6 | 15 |
| ბათუმი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 13 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 16:12 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 16:7 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:15 | 7 |
| გურია | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| გორდა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:17 | 4 |
| მეტალურგი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:19 | 1 |

## იტალია

### III ტური

### უდინეზე 1:2 მილანი

0:1 შევჩენკო (14), 0:2 ინძაგი (54), 1:2 მუცი (74პ)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, სოტილი, ძამბო-ნი, პიერი, პინცი (მარტინესი 56), დ. პიზარო, ლ. ელგერა, იორგენსენი (პავონი 81), იაკინტა, მუცი (დი მიკელე 81)
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
მილანი: აბიატი, კონტრა, ლაურსენი, მალდინი, კალაძე, უმითი, გატუზო (დონატი 75), ალბე-რტინი, სერჟინიო (როკე ჟუნიორი 90), შევჩე-ნკო (ბროკი 81), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: გატუზო, კონტრა
მსაჯი: ბორიელო
18 000 მაყურებელი

### ბოლონია 1:0 პარმა

1:0 ხულიო კრუზი (59)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კას-ტელინი, ბრიოსკი, პეკია, ოლივე, ვომე (ბრიგი 83), მაჩელარი, ხულიო კრუზი, სინიორი (ნე-რვო 77)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინა
პარმა: ფრეი, ჟეტუ ფერარი, ფ. კანავარო, მარ-კიონი (ბაკინი 53), ალმეიდა, ლამუში (ბოგოსი-ანი 69), ჟუნიორი, ნაკატა, ბონაცოლი, დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: ალმეიდა, კანავარო, ოლივე
მსაჯი: ტომბოლინი
20 000 მაყურებელი

### ბრეშა 1:1 ლეჩე

0:1 ჩევანტონი (13), 1:1 ბაჯო (90)
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი (ილანა 75), ბონერა, დიანა, ა. ფილიპინი, ჟუნტი, ე. ფილიპინი (სალგადო 65), სუსი (კოზმინსკი 60), რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ლეჩე: კიმენტი, სტოვინი, პოპესკუ, სავინო (ჟუ-არესი 90), ბალერი (ჯორჯეტი 59), კონტი-კიო, პიანჯერელი, ჯაკომაცი, ტონეტო, ჩევან-ტონი (კოლონელო 78), ვუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: სავინო, სუსი, ჟუნტი, ტარე, ჯა-კომაცი, კოზმინსკი, პეტრუცი, ჩევანტონი
მსაჯი: საკანი
13 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 3:1 ატალანტა

1:0 ნუნო გომეში (2), 1:1 რინალდი (3), 2:1, 3:1 კიე-ზა (12, 82)
ფიორენტინა: ტალიალატელა, დი ლივიო, ადა-ნი, ორეტი, კოისი, ბარონიო (ამარალი 75), ჯ. ამორუზო, ვანოლი, მორფეო (მარკო როსი 83), კიეზა (აგოსტინი 85), ნუნო გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ატალანტა: ტაიბი, რინალდი, პაგანინი, კარე-რა, ბელინი (საუდატი 60), ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დონი, როსინი (კოლომბო 75), კომან-დინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: მორფეო, როსინი, პაგანინი, რი-ნალდი, დონი
მსაჯი: პიერი
13 000 მაყურებელი

### ინტერი 2:1 ვენეცია

1:0 კალონი (74პ), 1:1 მანიერო (89), 2:1 ადრიანო (90)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, სიმიჩი, კორდობა, გეორგატოსი (ვივასი 58), სერჟიუ კონსეისაუ (დალმა 61), დი ბიაჯო, გულიელმინპიეტრო, ზეედორფი, კალონი, ვენტოლა (ადრიანო 58)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ვენეცია: ჯ. როსი, ალეგრინი (დი ნაპოლი 76), კონტეპი, ბიორკლუნდი, ვიალი, ბეტარინი, ბრე-სანი, დ. ანდერსონი (რუკავინა 78), მარასკო, მანიერო, ბაცანი (ვანუკი 46)
მწვრთნელი: ჩეზარე ბრანდელი
გაფრთხილება: კალონი, ბეტარინი, კონტეპი, ბე-ტარინი
გაძევება: კორდობა (33), ბეტარინი (44)
მსაჯი: როსეტი
55 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 3:2 კიევო

0:1, 0:2 მარაცინა (9, 19), 1:2 ტაკინარდი (21), 2:2 ტუდორი (42), 3:2 სალასი (83პ)
იუვენტუსი: ბუფონი, კ. ძენონი (ფ. ონილი 46), ტურამი, იულიანო, პესოტო, ძამბროტა, ტუ-დორი, ტაკინარდი, ნედვედი, ტრეზეგე (სალა-სი 60), დელ პიერო (ნ. ამორუზო 76)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ლანა, ერიბერტო (ლორენცი 76), პეროტა, კო-რინი, მანფრედინი (ძანკეტა 50), მარაცინა (კო-სატო 63), კორადი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ტუდორი, ტაკინარდი, სალასი, პეროტა, კორადი, კოსატო, ლუპატელი, მარა-ცინა, დანჯელო
მსაჯი: ბოლონინო
40 000 მაყურებელი

### ლაციო 0:0 ტორინო

ლაციო: პერუცი, სტამი (ფავალი 46), ნესტა, ფე-რნანდუ კოუტუ, კასტრომანი (სტანკოვიჩი 49), მენდიეტა (დე ლა პენია 71), სიმეონე, ფიორე, პანკარო, კრესპო, კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ტორინო: ბუჩი, გარსია, ფატორი, დელი კარი, ასტა, დე ასენტისი, ბრამბილა (ვენტურინი 73), პ. კასტელინი (კომოტო 87), პინგა (ვერგასო-ლა 60), კ. ლუკარელი, ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: სტამი, ნესტა, ფერნანდუ კოუ-ტუ, ბრამბილა, ფატორი
მსაჯი: ბერტინი
40 000 მაყურებელი

### პიაჩენცა 2:0 რომა

1:0 ჰიბნერი (38), 2:0 დი ფრანჩესკო (51)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ბოზელი, ლამაკი, ტოსტო (კარდონე 89), გაუტიერი, მა-ტუზალემი, ვოლპი, დი ფრანჩესკო, პოჯი (ამ-ბროზეტი 58), ჰიბნერი (კაჩა 78)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
რომა: პელიცოლი, ძებინა (პანუჩი 46), სამუე-ლი, ძაგო, კანდელა, კაფუ (ლიმა 61), ტომაზი, ემერსონი, გიგუ (დელვეკიო 46), ბატისტუტა, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ძებინა, კაფუ, კანდელა, კაჩა, დი ფრანჩესკო
გაძევება: ლიმა (80)
მსაჯი: კოლინა
12 000 მაყურებელი

### ვერონა 1:1 პერუჯა

0:1 ლივერანი (41პ), 1:1 მუტუ (80)
ვერონა: ფერონი, გონელა, ძანკი, ტეოდორანი (მელისი 23), ოდო (კამორანეზი 80), იტალია-ნო, ჯ. კოლუჩი, სერიჩი, სალვეტი, მონტანო (დოარდო 41), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო, დელასი, დი ლო-რეტო, ზე მარია, ტედესკო, ლივერანი, ბაიო-კო (გროსო 75), ანი (ბუკი 75), მილანეზე, ვრი-ზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ვრიზასი, დელასი
გაძევება: ფერონი (41)
მსაჯი: პრესკენი
13 887 მაყურებელი

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 3 ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 კიევო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 5 ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 6 ბრეშა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 7 ვერონა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 8 ლეჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 9 პიაჩენცა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 ლაციო | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 11 ფიორენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 |
| 12 უდინეზე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 პარმა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 14 ტორინო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 15 რომა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 16 პერუჯა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 17 ატალანტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 ვენეცია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

# კრიზისზე მეტი




იუვენტუსი — კიევო. ტურინელებმა სტუმრებს მაჯის გამოგონილი და მარსელო სალასის გატანილი ამ პენალტით სძლიეს

„კიევო" უძახეთ და... სერია A-ს დებიუტანტმა ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" ქედი არ მოიხარა, დიდ „იუვენტუსს" ტოლი არ დაუდო, 2:0 უგებდა და მეორე ტაიმში სრულიად კომშარული, გამოგონებული პენალტის გამო დამარცხდა.

პენალტი, როგორც მოგახსენეთ, ისეთი გახლდათ, თითიდან გამოწოვილიც კი არ ეთქმის. თითიდან გამოწოვილი კიდევ სხვაა, აქ კი, ჯერ ერთი მანამდე თამაშგარე მდგომარეობა იყო, თან აშკარა, მერე კი, ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი „კიევოს" მცველმა მკერდზე მიიღო, ხოლო მკერდით თამაშისთვის თერთმეტმეტრიანი არ ინიშნება.

ერთი სიტყვით, „იუვენტუსმა" ჯერ ორბურთიანი ჩამორჩენა გააბათილა და მერე ზემოხსენებული პენალტის წყალობით გაიმარჯვა კიდეც.

„ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და გავიმარჯვეთ. ალბათ, არავის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ სამი ქულა დაუმსახურებლად მივითვალეთ, მიუხედავად იმისა, რომ შედეგმა კამათის საბაბი მართლაც დატოვა. ამასთან, მეტოქის ღირსებას პატივი უნდა ვცეთ. „კიევომ" თავდადებით, უშიშრად და ძალიან ორგანიზებულად ითამაშა" — თქვა პრესკონფერენციაზე „ბებერი ქალბატონის" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ — „აღსანიშნავია, რომ საქმე თავად გავირთულეთ. ბუფონმა შეცდომა დაუშვა, ამის შემდეგ კი „კიევომ" მეორე გოლის გატანა მოახერხა, თუმცა ერთი წუთით არ გვინერვიულია და ფანტასტიკურად მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ მოქმედება ისე განვაგრძეთ, როგორც გვჩვევია. საბოლოოდ, ამ დამოკიდებულებამ გამარჯვებამდე მიგვიყვანა".

ლიპი მართალს ამბობს. „კიევომ", რომლის ჩინებული თამაშის დაკნინება ნამდვილად არ შეიძლება, ანგარიში იმიტომ გახსნა, რომ მასპინძელთა მეკარეს, ჯანლუიჯი ბუფონს ფაქტობრივად უწყინარ ვითარებაში ბურთი ხელიდან გაუვარდა, ხოლო მას მერე, რაც სტუმრებმა ანგარიში გაზარდეს, „იუვენტუსმა" სრულიად მშვიდად და ძალიან ოსტატურად, პირველსავე ტაიმში გაქვითა ანგარიში. აღსანიშნავია კიდევ ორი მომენტი. პირველი: „ბებერი ქალბატონი" შარშანდელთან შედარებით გაცილებით ლამაზად თამაშობს. და მეორე: „იუვენტუსმა" პირველ ტაიმში მესამე გოლიც გაიტანა, რომელიც მსაჯმა ვითომ — ოფსაიდის გამო არ ჩათვალა.

„კიევოს" თავკაცი ლუიჯი დელ ნერი: „მსაჯის გადაწყვეტილებაზე რა ვთქვა. სათქმელი არაფერია, საზოგადოდ კი თამაში იმიტომ წავაგეთ, რომ ძალიან უეშმაკოდ ვითამაშეთ. „იუვენტუსმა" სამივე გოლი სტანდარტული მდგომარეობის შემდეგ გაგვიტანა. ფაქტია, ლიპის გუნდი ჩვენსაზე გაცილებით დიდი პოტენციალის გახლავთ. თუ დააკვირდით, მასპინძელი ფეხბურთელები არაფრისგან მომენტების შექმნას ახერხებდნენ, თუმცა ჯამში ჩვენც კარგად ვითამაშეთ და ტაქტიკაც ბრწყინვალედ გვქონდა გამართული. ერთი სიტყვით, ამ, თუნდაც წაგებული მატჩის შემდეგ, მე შემიძლია განვაცხადო, რომ იტალიის უმაღლეს დივიზიონში თამაშის სრული უფლება გვაქვს".

„იუვენტუსისა" და „კიევოს" მატჩზე იმასაც დავძენთ, რომ ტურინელთა მეორე გოლის ავტორი იგორ ტუდორი, როგორც შემდეგ გაირკვა, ცხვირგატეხილი ყოფილა. იგი პირველი ტაიმის შუაში, გოლის გატანამდე დაშავდა, თამაშის მერე კი ოპერაცია გაიკეთა.

ხოლო, რომში... „ლაციო" და „რომა". წინა სეზონების ჩემპიონები, სანამ იმას არკვევდნენ, მათ შორის რომელია უმჯობესი, ორივეს მწვრთნელს ლამის მოსახსნელად გაუხდა საქმე. ჩახედეთ ცხრილს, „ლაციო" მეათე ადგილზეა, ხოლო ჩემპიონი „რომა" მეთხუთმეტეზე. ჩახედეთ ანგარიშებს: „რომამ" „პიაჩენცასთან" წააგო 0:2, ხოლო „ლაციომ" „ტორინოსთან" 0:0 ითამაშა.

„კრიზისი?" — კითხულობს „რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო — „ეს კრიზისი კი არა, მეტია. მოვლენები საკუთარ თავზე მეტყველებს. თავს ვერაფრით გავიმართლებთ. იმედი მაქვს ხელფასებზე ვერავინ დაიჩივლებს. ეტყობა, სკუდეტოს მოგებამ გუნდი ფსიქოლოგიურად გატეხა. მე ველარ ვხედავ ძველებურ შემართებასა და მენტალიტეტს, მაგრამ დანებებას არ ვაპირებ".

სხვათა შორის, ამბობენ, რომ კაპელო სეზონის ბოლოს „რომადან" მიდის, რათა „მანჩესტერ იუნაიტედში" ალექს ფერგიუსონი შეცვალოს. ამის თაობაზე მწვრთნელს „რომას" პრეზიდენტთან, ფრანკო სენსისთან კონფლიქტიც მოსვლია. თურმე, ინგლისში იტალიელ მწვრთნელს ხელფასად ოთხ მილიონ დოლარზე მეტი ელის.

ოდნავ სხვანაირად საუბრობს თავის გუნდზე „ლაციოს" თავკაცი დინო ძოფი: „ტორინოსთან" უნდა მოგვეგო. საქმე ის არის, რომ კარგად ვთამაშობთ და გოლები ვერ გაგვაქვს". გაისკა მენდიეტასაც დრო სჭირდება ახალ გუნდთან შესაგუებლად და მდგომარეობაში გასარკვევად".

**ბაჩუნა ძიძია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 4 |
| ტარე (ბრეშა) | 4 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 4 |

IV ტური
23 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | ვერონა |
| კიევო | - | პიაჩენცა |
| ლეჩე | - | იუვენტუსი |
| მილანი | - | ლაციო |
| პარმა | - | ბრეშა |
| პერუჯა | - | უდინეზე |
| რომა | - | ფიორენტინა |
| ტორინო | - | ინტერი |
| ვენეცია | - | ბოლონია |

## სერია B

### IV ტური

### სიენა 0:1 ჯენოა

0:1 მალატი (6)
სიენა: ჯიანელო, მანდელი, მინანი, ვორია, მ. როსი, არჯილი, კარაჩიოლო (მისო 75), რადიჩე, ლანტინიოტი (სკალცო 46), კამპოლონი (მორელო 64), ძამბანა
დავით ქიმელაშვილი და ლევან მელქაძე თადარიგში იყვნენ
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
5 500 მაყურებელი

### კომო 1:0 სალერნიტანა

1:0 ოლივეირა (30)

### კროტონე 4:2 კალიარი

1:0 აბეიონი (10ს.კ.), 1:1 აბეიონი (19), 2:1 დეფლორიო (38), 3:1 პორკა (49), 4:1 არტისტიკო (65), 4:2 მელისი (70პ)

### მესინა 1:1 ანკონა

0:1 ალბინო (76), 1:1 გუტიერესი (90)

### პისტოიეზე 0:1 კოზენცა

0:1 სტრადა (54)

### სამპდორია 0:2 ემპოლი

0:1, 0:2 როკი (8, 27)

### ტერნანა 0:0 მოდენა

### ნაპოლი — ვიჩენცა

21 ოქტომბერს გაიმართება

### ბარი — პალერმო

### ჩიტადელა — რეჯინა

წუხელ გვიან გაიმართა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| მოდენა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ჯენოა | 4 | 3 | 0 | 1 | 4:3 | 9 |
| კოზენცა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| ანკონა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ვიჩენცა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| რეჯინა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ტერნანა | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 | 6 |
| სალერნიტანა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| კროტონე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| პალერმო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ბარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| კომო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| მესინა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ჩიტადელა | 3 | 0 | 1 | 2 | 6:8 | 1 |
| პისტოიეზე | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| სიენა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| სამპდორია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

## სერია C1/a

მე-3 ტური: ალბინოლეფე — ტრიესტინა 1:1; ალძანო — სპეცია 1:1; არეცო — ლივორნო 0:1; კარარეზე — პადოვა 1:1; ჩეზენა — რეჯანა 3:2; ლუმეცანე — მონცა 0:0; სპალ — ლეკო 2:2; ვარეზე — ტრევიზო 2:2; პიზა — ლუკეზე წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/b

მე-3 ტური: ასკოლი — კიეტი 1:0; აველინო — ტორესი 2:1; კატანია — ლანჩანო 2:0; ჯულიანოვა — ვიტერბეზე 3:0; ლოდიჯანი — ბენევენტო 1:1; პესკარა — აკილა 4:0; სორა — ფერმანა 0:1; ტარანტო — დი სანგრო 2:1; პაზარო — ნოჩერინა 4:2

# იტალიის ჩემპიონატი

## მესამე ტურის მატჩი

## უდინეზე 1:2 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# მშვიდი მილანი

**ისევე** როგორც ერთი წლის წინ, „ფრიულიზე", მილანელთა გამარჯვება ახლაც ანდრეი შევჩენკოს სახელთან შეიქნა დაკავშირებული. მშვიდ, წყნარ შეხვედრაში, სადაც მილანელები ბურთის კონტროლს ეშურებოდნენ და საამისოდ მოედნის სიგრძე-სიგანეზე ზუსტ პასებს მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე ნაჩქარევ გამწვავებასა და ორთაბრძოლებს, უკრაინელმა თავდამსხმელმა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი და ერთი შეხედვით ძალიან უწყინარი, მაგრამ ფრიად ოსტატური დაბალი დარტყმით ანგარიში გახსნა. აქვე დავძინოთ, ამ გოლით შევჩენკო ბომბარდირთა დავაში ბრეშელ ალბანელ იგლე ტარესა და ფლორენციელ ენრიკო კიეზას გაუსწორდა. მათ ოთხ-ოთხი გოლი აქვთ გატანილი.

ამის შემდეგ, თამაში ისევ ნელა (ევროპული ფეხბურთის თვალსაზრისით) გაგრძელდა და „მილანმაც" სრულიად მიაღწია საწადელს — პასები ერთ-ორ მეტრში, ბურთის უკან, მცველებისთვის დაბრუნება, შეტევის მიმართულებათა შეცვლა და მხოლოდ ბოლოს, ისიც ხელსაყრელ შემთხვევაში აჩქარება.

„შავ-წითლები" ახალი მწვრთნელის, ფათიჰ თერიმის ხელმძღვანელობით ოდნავ განლაგებაშეცვლილნი გახლავან. კერძოდ, უდინეში, მარცხენა მცველობით ცნობილი პაოლო მალდინი დაცვის ცენტრში მოგვევლინა, ხოლო მარცხნივ, მოედნის შუიდან კახა კალაძემ გადაინაცვლა. ამ გადაადგილებას კი ის მოჰყვა, რომ აქამდე შემტევ მარცხენა მცველად ცნობილ სერჟინიოს დაცვაზე ზრუნვით თავი აღარ აქვს შესაწუხებელი და კალაძის წინ, შეტევაში დაქრის. მარჯვენა მცველად ვიხილეთ დებიუტანტი თურქი, „გალათასარაიდან" ახალგადმოყვანილი დავალა უმითი, რომელმაც პირველსავე შეხვედრაში ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოედნის ცენტრში „მივიწყებული" დემეტრიო ალბერტინი დაბრუნდა ჯენარო გატუზოსთან წყვილში, ხოლო წინ, მოწინააღმდეგის მცველთა ხაზში ფილიპო ინძაგი გახლდათ ჩაგდებული, რომელსაც უკნიდან ლონიერი შეტევებით ანდრეი შევჩენკო ეხმარებოდა.

მეორე გოლი, მეორე ტაიმის მე-9 წუთზე სწორედ შევჩენკოს პასით გაიტანა ინძაგიმ, ხოლო შემდეგ, საფინალო სასტვენამდე 17 წუთით ადრე „უდინეზემ" პენალტით ერთი უპასუხა.

ეს პენალტი, რომელიც მსაჯის, ბორიელოს აზრით კალაძემ დაიმსახურა, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან არ ჰგავდა პენალტს. მცველმა ჯერ აშკარად ბურთს გაჰკრა ფეხი, ხოლო შემდეგ ინერციით თუ შეეჯახა მეტოქეს, ეს უფრო ფიზიკის კანონების ბრალი იყო, ვიდრე მილანელთა მეცამეტე ნომრის.

ასე იყო თუ ისე, „უდინეზემ" სხვაობა შეამცირა, მაგრამ მეტი ვერაფერი შეძლო (ბოლოს, ერთ ეპიზოდში სტუმრები მეკარე აბიატიმ იხსნა) და „მილანს" ცხრილში მეორე ადგილზე ასვლაში ხელი ვერ შეუშალა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების წევრს, კალაძეს, უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ კარგად ითამაშა, ზედმეტ მოძრაობებს არ აკეთებდა, ზუსტად და ლოგიკურად, ტაქტიკის შესაბამისად მოქმედებდა, ხოლო ამპლუის შეცვლის გამო მოედანზე წინ და უკან თამაში რომ შეზღუდული იქნებოდა, ეს ცხადი გახლდათ.

**ბაჩუნა ძიდია**



„მილანის" შეტევებში ჯენარო გატუზოც ერთვებოდა

## ბელგია

V ტური

**ლიერსი 2:0 ანდერლეხტი**

1:0 ფრიგარდი (46), 2:0 გადიაგა (55)

ლიერსი: მარდულიე, შოთა ხიზანიშვილი [unclear] ლაერემანსი, ლეენი, სნოექსი, უილსი, გადიაგა (მიუსგემსი 86), ტომსონი (იანსენსი 53), ნიკოლოვსკი, დე როეკი, ფრიგარდი (სიკიმიჩი 88)

მამუკა წერეთელი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: ვალტერ მეესი

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, გადიაგა

მსაჯი: ბლარო

9 000 მაყურებელი

**გენტი 2:1 ბევერენი**

0:1 ზეზე (39), 1:1 შეპენსი (47), 2:1 ნილსენი (64)

**ბეერსხოტი 1:1 გენკი**

0:1 დაგანო (1), 1:1 პაავდორენი (79)

**ლომელი 3:4 ლოკერენი**

0:1 გრეტარსონი (25პ), 0:2 ზუნდი (31), 1:2 ვალიგორა (32), 2:2 ტანკარი (72), 2:3, 2:4 ბანგურა (79, 83), 3:4 ვალიგორა (88პ)

**მოლენბეკი 1:2 სენტ ტრუიდენი**

0:1, 0:2 მზონაბუკა (6, 22), 1:2 კოლოტილკო (25)

**აალსტი 0:0 ანტვერპენი**

**შარლერუა 4:2 ვესტერლო**

1:0 დუფერი (24), 2:0 ნეგუა (27), 3:0 იაზდანი (40), 3:1 სმიტსი (68), 4:1 მარტინი (81), 4:2 სევერინსი (90)

**ბრიუგე 2:1 ლუვიე**

0:1 დიასი (21), 1:1 ლანგე (69), 2:1 მენდოსა (77)

**სტანდარდი 2:1 მუსკრონი**

1:0, 2:0 გუსენსი (43, 56), 2:1 კასტო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 5 | 5 | 0 | 0 | 15:5 | 15 |
| გენტი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:4 | 15 |
| აალსტი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 13 |
| სტანდარდი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| სენტ ტრუიდენი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:9 | 10 |
| შარლერუა | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| ლიერსი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| გენკი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:9 | 8 |
| ანდერლეხტი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| ბეერსხოტი | 5 | 1 | 3 | 1 | 12:9 | 6 |
| ლომელი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:16 | 6 |
| ლოკერენი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ანტვერპენი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| ვესტერლო | 5 | 1 | 0 | 4 | 11:13 | 3 |
| მოლენბეკი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:8 | 1 |
| ლუვიე | 5 | 0 | 1 | 4 | 5:18 | 1 |
| ბევერენი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:18 | 1 |
| მუსკრონი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:8 | 0 |

## შვეიცარია

### A ჯგუფი. XI ტური

**აარაუ 3:1 ლუგანო**

1:0, 2:0 ოკპალა (14, 22), 2:1 როსი (23), 3:1 გიგაძე (90)

ლევან ხომერიკი განაცხადში ვერ მოხვდა

**ციურიხი 0:0 სიონი**

ციურიხი: პასკოლო, მარტინ შტოკლასა, ჩინაბი, კვენტინი, პალასი (მ. ჯანინი 88), ჰელინგა, ჯამარაული, ბიულმანი (მაგრო 61), ფ. გერერო (პ. ბაუმანი 61), შასო, აკალე

მიხეილ ჯიშკარიანი დისკვალიფიცირებული იყო

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

3 300 მაყურებელი

**ბაზელი 4:1 ლუცერნი**

1:0 ხიმენესი (45), 2:0 ჩიპერფილდი (64), 3:0 ხიმენესი (71), 3:1 ვარელა (82), 4:1 კუმანტარაკისი (90)

**ქსამაქსი 1:4 გრასჰოპერი**

0:1 ნუნიესი (20), 0:2 ზაპუიზა (38), 0:3 იპოლიტი (71), 1:3 ტაჩე-მენსა (78), 1:4 ნუნიესი (83)

**სენტ გალენი 4:1 იანგ ბოისი**

0:1 ტიკვა (25), 1:1 ს. მიულერი (47), 2:1 დი ჯორიო (53), 3:1, 4:1 ჯეფერსონი (60, 69)

**ლოზანა — სერვეტი**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 11 | 6 | 2 | 3 | 28:14 | 20 |
| სიონი | 11 | 6 | 2 | 3 | 19:10 | 20 |
| იანგ ბოისი | 11 | 5 | 3 | 3 | 19:18 | 18 |
| ციურიხი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:14 | 17 |
| ლუგანო | 11 | 5 | 2 | 4 | 17:18 | 17 |
| აარაუ | 11 | 4 | 4 | 3 | 16:12 | 16 |
| სერვეტი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 15 |
| ბაზელი | 10 | 4 | 2 | 4 | 20:20 | 14 |
| სენტ გალენი | 11 | 4 | 2 | 5 | 19:21 | 14 |
| ქსამაქსი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:13 | 11 |
| ლოზანა | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | 8 |
| ლუცერნი | 11 | 1 | 2 | 8 | 12:29 | 5 |

### B ჯგუფი

მე-13 ტური: ბელინცონა — ივერდონი 0:1; კარუჟი — ვილი 2:1; კრინსი — კონკორდია 3:0; თუნი — ლოკარნო 0:0; ვადუცი — ბადენი 3:3; ვინტერთური — დელემონი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვინტერთური | 13 | 8 | 3 | 2 | 30:22 | 27 |
| თუნი | 13 | 6 | 4 | 3 | 22:19 | 22 |
| ბადენი | 13 | 5 | 5 | 3 | 29:17 | 20 |
| ვილი | 13 | 6 | 2 | 5 | 29:22 | 20 |
| კრინსი | 13 | 6 | 2 | 5 | 18:16 | 20 |
| დელემონი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | 18 |
| ივერდონი | 13 | 4 | 5 | 4 | 18:20 | 17 |
| ვადუცი | 13 | 4 | 4 | 5 | 25:27 | 16 |
| კარუჟი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:19 | 16 |
| ბელინცონა | 13 | 4 | 2 | 7 | 16:21 | 14 |
| ლოკარნო | 13 | 3 | 3 | 7 | 13:20 | 12 |
| კონკორდია | 13 | 3 | 3 | 7 | 22:32 | 12 |

## ჰოლანდია

V ტური

**ბრედა 2:0 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 კრისტიანო (35), 2:0 სალმონი (86)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰოფლანდი (ლუსიუსი 46), ვან ბომელი, მახოჩაძე, ფოგელი, ბუმა, რომედალი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (კეჟმანი 72), დე იონგი, ველბერსი, ჰესე (ბრუგინკი 55)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

14 258 მაყურებელი

**ფეიენოორდი 2:0 გრააფსხაპი**

1:0 ტომასონი (34), 2:0 ვან ჰოიდონკი (45)

**ვიტესი 1:1 სპარტა**

1:0 კრეეკი (22), 1:1 კოევერმანსი (83)

**სიტარდი 1:2 ტილბურგი**

1:0 ემერენი (59), 1:1, 1:2 ლანძაატი (64, 67)

**აიაქსი 1:0 ალკმარი**

1:0 ვან დერ ვაარტი (90)

**დენ ბოსხი 2:1 ნაიმეგენი**

0:1 ტუმბა (43), 1:1 მაქსიმილიანო (64), 2:1 ვან დერ ეედე (83)

**გრონინგენი 3:0 ტვენტე**

1:0 ბროერსი (33პ), 2:0 დრენტი (45), 3:0 ტუპუტერუ (76)

**ვალვაიკი 2:1 ჰერენვენი**

0:1 ოლბოკი (33), 1:1 პუგენდორპი (41პ), 2:1 ძუიკი (90)

**უტრეხტი 4:1 როდა**

1:0 გლუშკევიჩი (22), 1:1 ტომაშიჩი (36), 2:1 ტანგე (38), 3:1 გლუშკევიჩი (39), 4:1 ტანგე (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:2 | 12 |
| ტილბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| აიაქსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ვიტესი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| დენ ბოსხი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| ვალვაიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 7 |
| გრააფსხაპი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| პსვ | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| ტვენტე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| გრონინგენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ბრედა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| უტრეხტი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 6 |
| ალკმაარი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| ჰერენვენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:3 | 5 |
| სპარტა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:10 | 5 |
| ნაიმეგენი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| სიტარდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:10 | 4 |
| როდა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |

# დანდის გამო



დანდი — სელტიკი. გიორგი ნემსაძემ კარგად ითამაშა, ჰენრიკ ლარსონი (№7) კი გლაზგოელებს დუბლით შეეწია

## შოტლანდია

VII ტური

**აბერდინი 2:1 დანდი იუნაიტედი**

0:1 მაკინტაირი (46), 1:1 ვინტერსი (52პ), 2:1 ზერუალი (69)

გაძევება: მაკკანი (51), ლოჩლანი (54, ორივე დანდი იუნ.)

**სენტ ჯონსტონი 2:2 ლივინგსტონი**

1:0 ფალკონერი (15), 1:1 კინო (24), 1:2 ბინგჰემი (28), 2:2 მაკდონალდი (49)

გაძევება: კინო (65, ლივინგსტონი)

**დანდი 0:4 სელტიკი**

0:1, 0:2 ლარსონი (45, 59), 0:3 პეტროვი (70), მელოუნი (88)

დანდი: ლენგფელდი, სმიტი, მაროკო, ხიზანიშვილი, რომანო (რობი 90), რაფ ნემსაძე, დელ რიო, გარიდო, რობერტსონი (მილენი 65; კინი 78), მილნი

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაძევება: დელ რიო (76, დანდი)

9 842 მაყურებელი

**ჰიბერნიანი 5:1 დანფერმლაინი**

1:0, 2:0 ბრევსტერი (17,32), 2:1 კროუფორდი (37პ), 3:1 მაკმანუსი (45), 4:1, 5:1 ლუნა (73, 81)

**კილმარნოკი 1:0 ჰართსი**

1:0 დარგო (77)

**რეინჯერსი 3:0 მაზერუელი**

1:0 ფლო (37), 2:0 დე ბური (70), 3:0 კანიჯა (90)

რეინჯერსი: კლოსი, როსი (ფერგიუსონი 46), მური, ვიდმარი, ნუმანი, ლატაპი, რიკსენი, კონტერმანი, მაკკანი (ლოვენკრანდსი 76), ფლო, რ. დე ბური (კანიჯა 70)

შოთა არველაძე ტრავმის გამო განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

47 137 მაყურებელი

**წინა** სეზონის ოთხ შეხვედრაში სქოთური პრემიერლიგის უპირველესმა მეგოლემ ლარსონმა „დანდის" კარის აღება ერთხელაც ვერ მოახერხა — „სელტიკი", ძირითადად, ბულგარელი სტილიან პეტროვის გოლებით ამარცხებდა ჩვენებურთა გუნდს. შაბათსაც, პირველ ტაიმში, ისე ეტყობოდა, შვედი ფორვარდი უსიამოვნო ტრადიციის გაგრძელებას აპირებდა, ვინაიდან „ზურაბ ხიზანიშვილს თითქოს ჯიბეში ეჯდაო ლარსონი" (ერთი იქაური სააგენტოს ფრაზაა), მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს შვედი შეეგება და „დანდის" კარიც დააჭაშნიკა.

არადა, პირველი 45 წუთი დანდელთა უპირატესობით მიმდინარეობდა — ნემსაძემ და რაემ მოედნის ცენტრში აშკარად დაჯაბნეს ლამბერტი და ლენონი. „ქართველი მართლაც საუცხოო თამაშს აჩვენებდა" (იმავე სააგენტოს აზრით), თუმცა როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თავზეხელაღებული შეტევებისთვის „დანდი" დაისაჯა. მატჩის მერე ივანო ბონეტიმ მსაჯი გააკრიტიკა, ის ჯარიმა ტყუილად დადოო. ლაპარაკია კრის სატონისა და ვალტერ დელ რიოს შეჯახებაზე, როცა არბიტრმა მასპინძელი დაადანაშაულა და სწორედ იმ საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს მიუჩინა ლარსონმა სათანადო ადგილი.

ამ გოლმა „დანდი" გატეხა და მეორე ტაიმში ჩემპიონს საქმის სასიკეთოდ ჩამთავრება აღარ გასჭირვებია. ლარსონის კიდევ ერთ ზუსტ თავურს მალე პეტროვმა დაუმატა (აბა, უმაგისოდ როგორ იქნებოდა), დელ რიოს გაძევების შემდეგ კი სტუმრებმა მეოთხედაც გაიხარეს და ტურნირში „იუვენტუსთან" შესაბამელად კარგ ხასიათზე გაემგზავრნენ.

კელტთა გარდა წაუგებლად თამაშობს „რეინჯერსიც", რომლის შემადგენლობაშიც კვლავ ვერ თამაშობს დაშავებული შოთა არველაძე. პროტესტანტებმა ამჯერად ბოლო ადგილზე მყოფ „მოზერუელს" სძლიეს ნორვეგიელი ფლოს, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეული ჰოლანდიელი დე ბურის და არგენტინელი კანიჯას გოლებით. აღსანიშნავია, რომ ბევრმა სააგენტომ მესამე გოლის ავტორად ტრინიდადელი რასელ ლატაპი დაასახელა, თუმცა „აიბროქსზე" მყოფნი ამტკიცებენ, რომ ბოლო მომენტში ბურთს სწორი მიმართულება სწორედ კანიჯამ მისცა.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 7 | 6 | 1 | 0 | 17:2 | 19 |
| რეინჯერსი | 7 | 4 | 3 | 0 | 16:5 | 15 |
| ჰიბერნიანი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:12 | 11 |
| კილმარნოკი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| ლივინგსტონი | 7 | 2 | 4 | 1 | 6:4 | 10 |
| ჰართსი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 10 |
| აბერდინი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | 10 |
| დანდი იუნაიტედი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| დანდი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:13 | 8 |
| დანფერმლაინი | 7 | 2 | 0 | 5 | 12:18 | 6 |
| სტ. ჯონსტონი | 7 | 0 | 3 | 4 | 5:12 | 3 |
| მოზერუელი | 7 | 0 | 3 | 4 | 7:17 | 3 |

### პირველი დივიზიონი

მე-6 ტური: ერდრი — ფოლკირკი 2:1; ეარი — სტ. მირენი 4:2; პარტიკ თისლი — კლაიდი 3:0; რეით როვერსი — არბროთი 3:1; როს ქაუნთი — ინვერნესი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიკ თისლი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:6 | 16 |
| ერდრი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 14 |
| ეარი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 |
| რეით როვერსი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| კლაიდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| ფოლკირკი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| სტ. მირენი | 6 | 1 | 3 | 2 | 12:12 | 6 |
| როს ქაუნთი | 6 | 2 | 0 | 4 | 3:9 | 6 |
| ინვერნესი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:8 | 5 |
| არბროთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:18 | 3 |

### მეორე დივიზიონი

მე-6 ტური: ალოა — კლაიდბენკი 1:0; ქოუდენბითი — ქუინ ოფ საუთ 1:1; მორტონი — ფორფარი 1:3; სტენჰაუზმური — ჰამილტონი 2:0; სტრენრარი — ბერიკი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალოა | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| სტენჰაუზმური | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| კლაიდბენკი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:7 | 12 |
| ქუინ ოფ საუთ | 7 | 2 | 4 | 1 | 10:8 | 10 |
| ფორფარი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ჰამილტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| სტრენრარი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 7 |
| მორტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 11:13 | 6 |
| ბერიკი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:13 | 6 |
| ქოუდენბითი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |

### მესამე დივიზიონი

მე-6 ტური: დამბარტონი — ალბიონი 1:1; ისტ სტირლინგი — პიტერჰედი 2:3; ელგინი — ისტ ფაიფი 1:1; მონტროუზი — სტირლინგი 4:0; ქუინზ პარკი — ბრეჩინი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეჩინი | 6 | 6 | 0 | 0 | 19:4 | 18 |
| მონტროუზი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:5 | 12 |
| სტირლინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:12 | 12 |
| დამბარტონი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| პიტერჰედი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| ელგინი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 9 |
| ისტ სტირლინგი | 6 | 2 | 0 | 4 | 12:12 | 6 |
| ალბიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 |
| ისტ ფაიფი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:14 | 2 |
| ქუინზ პარკი | 6 | 0 | 1 | 5 | 6:13 | 1 |

## ინგლისი

### V ტური

**დერბი ქაუნთი 2:3 ლესტერი**

1:0 ბარტონი (4), 1:1, 1:2 სტარიჯი (30, 64), 2:2 რავანელი (86პ), 2:3 იზეტი (90პ)
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, მავენი (კრისტი 76), რიგოტი, ჰიგინბოთემი, ბოერტიენი, ბარლი, ბ. ონილი, ს. ჯონსონი, ძინძლაძე, დ. ბარტონი, რავანელი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ლესტერი: ი. უოქერი, ფ. სინკლერი, მარშალი, მ. ელიოტი, დავიდსონი, მარტინ სტიუარტი, სევიჯი, მ. ჯოუნსი, იზეტი, სტარიჯი (ბენჯამინი 82), აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ჯონსონი, ბოერტიენი, რიგოტი, ბარლი, რავანელი, სევიჯი, სინკლერი, ბენჯამინი
მსაჯი: გ. ბარბერი
26 863 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 სანდერლენდი**

ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ალფაი, მელბერგი, ა. რაიტი, მერსონი (ჯინოლა 55), ბოატენგი, ლ. ჰენდრი, კაჰილი, დაბლინი (ბალაბანი 68), ვასელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
სანდერლენდი: მახო, ჰაასი, მაკკარტნი, კრადოკი, გრეი, არკა, გევი მაკკენი, შვარცი, კილბეინი, ნ. ქუინი (ლასლანდი 82), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: მაკკენი, ფილიპსი, ჰაასი, შვარცი
მსაჯი: უ. რენიე
31 668 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:2 ლიდსი**

0:1 კინი (21), 0:2 ნილსი (62)
ჩარლტონი: დ. კელი, ლ. იანგი (ლისბი 78), ს. ბრაუნი, ფიში, კ. პაუელი, კონჩესკი, ჯ. რობინსონი, პარკერი, გ. სტიუარტი, ბარტლეტი, იუელი (კიშელა 66)
მწვრთნელი: ალან კურბიშლი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური (მაკფელი 66), ბოიერი, ბეტი, კიუელი, ვიდუკა, რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: იანგი, ბარტლეტი, კინი
გაძევება: სტიუარტი (37)
მსაჯი: მ. ჰელსი
20 451 მაყურებელი

**იფსვიჩი 1:1 ბლეკბერნი**

1:0 არმსტრონგი (15), 1:1 იანსენი (54)
იფსვიჩი: სერენი, მაკინი, მაკგრილი, ჰრეიდარსონი, ბრემბლი, ჰოლანდი, მუჟილტონი, მარკუს სტიუარტი, ა. არმსტრონგი (რ. ნეილორი 64), როიზერი (კუნაგო 90), ფინიდი (უილნისი 79)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბერგი, მ. ტეილორი, მაჰონი, თუგაი, ფლიტკროფტი, გილესპი, დაფი, იანსენი, გრაბი (ბენტი 84)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ჰრეიდარსონი, ბრემბლი, როიზერი, თუგაი
მსაჯი: გ. პოლი
22 126 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:3 ჩელსი**

0:1 ჰასელბაინკი (45), 1:1 შერინგემი (66), 1:2 ჰასელბაინკი (81პ), 2:2 შერინგემი (90), 2:3 დესაი (90)
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, ბუნიევჩევიჩი (ტეილორი 57), კინგი, ტარიკო, ციგე, ფრეინდი (რებროვი 85), ანდერტონი, ს. დევისი, ლ. ფერდინანდი, შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ჩელსი: დე გუი, მელხიოტი, დესაი, ტერი (გალასი 44), ლე სო, გრონკიაერი, ლამპარდი, პეტი, ზენდენი (იოკანოვიჩი 82), ჰასელბაინკი, ძოლა (გუდიონსენი 88)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ფერდინანდი, ფრეინდი, დესაი, ლამპარდი, გრონკიაერი, ლე სო, ლამპარდი
გაძევება: ლამპარდი (90)
მსაჯი: ს. დანი
36 037 მაყურებელი

**ბოლტონი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 პახარსი (77)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი, ჰანსენი, ფრანდსენი (საუთჰოლი 51), ვარჰურსტი, ნოლანი (გარდნერი 79), პედერსენი, ვიკეტსი (ჰოლდსუორთი 67)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დელაპი, ელ ხალეჯი (პახარსი 69), ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ბრიჯი, კ. დევისი, ტესემი (მარსდენი 86), სვენსონი, ოკლი, ბიტი
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
გაფრთხილება: უიტლოუ, ვარჰურსტი, ელ ხალეჯი
მსაჯი: დ. პაფი
24 378 მაყურებელი

# ტრილერის ტური


REUTERS ლონდონიდან
ტოტენჰემი — ჩელსი. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა დუბლი გაიტანა

**ევერტონი 1:3 ლივერპული**

1:0 კემბელი (5), 1:1 ჯერარდი (12), 1:2 ოუენი (31პ), 1:3 რიისე (52)
ევერტონი: ჟერარი, მეისმიტი, სტაბსი, ანსუორთი (გესქოინი 46), ვეირი, უოტსონი, ნავიერი (რაძინსკი 46), გრავესენი, ალექსანდერსონი (პიბერტი 76), კ. კემბელი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ლივერპული: დუდეკი, რიისე, ჰიპია, ანში, კარაგერი, ვინალი, ჰამანი, ჯერარდი (ბმიცერი 85), მერფი (მაკალისტერი 78), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: მერფი
მსაჯი: პ. დარკინი
39 554 მაყურებელი

**ფულემი 1:3 არსენალი**

0:1 ლიუნგბერგი (17), 1:1 მალბრანკი (48), 1:2 ანრი (82), 1:3 ბერხკამპი (90)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, საიმონსი, კოლინზი, მალბრანკი, შ. დევისი, ლეგვინსკი (მარლე 71), საჰა, ბოა მორტე (ჰეილსი 88)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
არსენალი: სიმენი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, პირესი (ვილტორდი 81), ლიუნგბერგი, ჯეფერსი (ბერხკამპი 74), ანრი (გრიმანდი 84)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ლეგვინსკი, ბოა მორტე, საიმონსი, ვიეირა, კიოუნი, ლორენი, პარლოუ
მსაჯი: ა. უილი
20 805 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:0 ვესტ ჰემი**

1:0 დინი (31), 2:0 ჯონსტონი (41)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კუპერი (გევინი 71), გრინინგი, ინსი, მასტო, ჯონსტონი (უილსონი 85), უინდასი, დინი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რეპკა, უინტერბერნი (სომა 82), სონგი (დეფო 46), შემელი, მონკუ (ტოდოროვი 64), დეილი, კარიკი, ჯ. კოული, ტ. სინკლერი, ჰაჩისონი
მწვრთნელი: გლენ როუდერი
გაფრთხილება: რეპკა, გრინინგი, უინდასი, უინტერბერნი, კარიკი, რეპკა
გაძევება: რეპკა (80)
მსაჯი: მ. რილი
25 445 მაყურებელი

**ნიუკასლი 4:3 მანჩესტერ იუნ.**

1:0 რობერი (5), 1:1 ვან ნისტელროი (29), 2:1 ლი (34), 3:1 დაბიზასი (52), 3:2 გიგზი (62), 3:3 ვერონი (64), 4:3 შირერი (82)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, რ. ელიოტი, ობრაიენი, დაბიზასი, სოლანო, აკუნია, ლი (უ. ბარტონი 46), რობერი, შირერი, ბელამი (დისტინი 90)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, ბლანი, უესლი ბრაუნი, ბექჰემი, ვერონი, როი კინი, გიგზი, ენდი კოული (სქოულზი 59), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გ. ნევილი, ელიოტი, აკუნია
გაძევება: კინი (90)
მსაჯი: ს. ბენეტი
52 056 მაყურებელი

**აი, ამბავი** ეს იყო: გიჟმაჟი როი კინი მოხერხებულ ალან შირერს შეეტაკა და წითელ ნისლში ჩაიძირა. „მანჩესტერში“ გატარებული ცხრა სეზონის განმავლობაში ირლანდიელმა მეცხრე წითელი ბარათი შაბათს მიიღო, „მანჩესტერმა“ კი 3:4 წააგო ნიუკასლში.

ახლა, „ნიუკასლი“ მესამე ადგილზეა, „მანჩესტერი“ კი უარესი ბურთებით — მეოთხეზე. საერთოდაც, „მანჩესტერი“ მესამეა გაშვებული ბურთების ოდენობით. ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ ანგარიში მასპინძელთა ლორან რობერმა გახსნა ბრწყინვალე ჯარიმით, რასაც 25 წუთში საუცხოო კომბინაცია და რუუდ ვან ნისტელროის გოლი მოჰყვა. ვინ არ ვარგოდა „მანჩესტერში“ და მეკარე ბარტეზი თავის დაცვიანად. რობ ლისა და ნიკოს დაბიზასის გოლებმა მეორე ტაიმის ორმოცი წუთილა დაუტოვა „მანჩესტერს“ თამაშის გადასარჩენად. მაგრამ ამდენი საჭირო არ შეიქნა: 62-ე და 64-ე წუთებზე რაიან გიგზმა და ხუან ვერონმა მოხდენილი დარტყმებით გაათანაბრეს ანგარიში. მერე თამაში ისე წავიდა, რომ ყველაფერი მოსალოდნელი იყო: მოგება ორივეს შეეძლო.

გამარჯვების შემოქმედი კი შირერი შეიქნა: მისი დარტყმული მცველის ფეხიდან შევარდა კარში. შირერი, რომელსაც ბოლო ექვს წელიწადში ორჯერ ჩაეშალა „მანჩესტერში“ გადასვლის გეგმა, ბოლო ორი ტურია, რაც მოედანს დაუბრუნდა ხუთთვიანი შესვენების შემდეგ და სამი გატანილი გოლით უკვე გაერია მეგოლეთა მარაქაში.

თამაშის ბოლო წუთს შირერს ერთი ამბავი შეემთხვა: ბურთი აუტში გაატარა და მოედნის გარეთაც გაჰყვა წამების მოსაგებად. ეს კინს არ გამოჰპარვია. „მანჩესტერის“ კაპიტანმა ბურთი აიღო და შირერს თავპირში ესროლა. ნასროლი ნიუკასლელს მხარში მოხვდა, მსაჯმა სტივ ბენეტმა კი წითელი ააფრიალა. კინი ძლივს გაიყვანეს მოედნიდან. „ალანს დრო გაჰყავდა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. როი სულელურად მოიქცა“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა — „ახლა სამმატჩიანი სასჯელიც ელის. ისე, მსაჯს ნამეტანი მოუვიდა. მასპინძელთა ფეხბურთელს ასეთ დროს არ გააძევებდა“.

შირერმა კი თქვა: „მანჩესტერი“ მაინც ჩემპიონობის კანდიდატია“.

მისი სიტყვები ძნელად მოეწონებოდათ ჩრდილოეთ ლონდონში, „ჰაიბერიზე“, სადაც მეთოფეებს თავკაცობს არსენ ვენგერი, დღევანდელ პრემიერლიგაში ერთადერთი მწვრთნელი, ფერგიუსონის შემდეგ პრემიერლიგის ჩემპიონობის გემო რომ იცის. შაბათსვე, „არსენალმა“ „კრეიკენ კოტეჯზე“ გატეხა ასევე ფრანგული ფულემი და ერთი დღით ცხრილის სათავეში მოექცა. მანამდელი ლიდერის, „ბოლტონის“ კონკიური ზღაპარი საუთჰემპტონში დაასრულა მარიანს პახარსმა.

იმავ საღამოს „ლივერპულმა“ საუცხოო სტილში მოიგო მერსისაიდული დერბი „გუდისონ პარკზე“, სადაც თავიდან „ევერტონი“ იგებდა. მერე სტივენ ჯერარდმა ისეთი გოლი გაუტანა პოლ ჯერარდს, თქვენი მოწონებული. მაიკლ ოუენმა პენალტი შეაგდო, იონ არნე რიისემ კი ზღაპრული დრიბლინგი დააგვირგვინა.

საერთოდ, ეს ომების ტური იყო. ორი-სამი ნაღდი ტრილერი გათამაშდა. „ლესტერმა“ თავისი პირველი გამარჯვება ბოლო წუთზე, მაზი იზეტის ამჯერად ზუსტი პენალტით გამოგლიჯა მასპინძელ „დერბის“. ამ შეხვედრაშიც აყალმაყალი იყო, დერბელები რობი სევიჯს წამოესიენ, ეგრე რატომ გაგეხარდა, პენალტი რომ დაინიშნაო. მერე სევიჯმა და დინ სტარიჯმა სტადიონის დაცვაზეც კი გაიწიეს. ძველი დერბელი სტარიჯი შეხვედრის გმირი იყო: ზღაპრული დუბლი შეასრულა.

დუბლი შეასრულა ტედი შერინგემმაც „ვაით ჰართ ლეინზე“, სადაც „ტოტენჰემმა“ ორჯერ გაუთანაბრა სტუმარ „ჩელსის“, რომელთანაც ამ სტადიონზე თოთხმეტი წელიწადი იყო, არ მოეგო. სტუმრები ორჯერ დააწინაურა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა (აქედან მეორედ მოგონილი პენალტით) და როცა მასპინძლებს ეგონათ, ათი კაცით დარჩენილ „ჩელსის“ ფრე გამოვგლიჯეთო, სწორედ მაშინ დაიმშნა ... ... სწორედ მაშინ შეისწორა ბურთს მარსელ დესაი. ეს იყო მეექვსე დამატებით წუთზე.

„მიდლსბრომ“ პირველად მოიგო, „ვესტ ჰემი“ კი ერთადერთია, ჯერ რომ არ მოუგია. „ვილამ“ ქულა გაუყო „სანდერლენდს“, „იფსვიჩმა“ კი „ბლექბერნს“, შიგადაშიგ წითელი ბარათებიც ფრიალებდა, ძირითადად, შეხვედრების ბოლო ათ წუთში. მთელი ამ ამბებიდან კი ის გამოვიდა, რომ ერთადერთი გუნდი, რომელსაც ხუთი ტურის თავზე არ წაუგია, „ლიდსია“. ლიდერიც სწორედ ისაა.

„ლიდსმა“ რობი კინისა და დენი მილსის გოლებით იმძლავრა ჩარლტონში. კინს ნახევარი დუჟინი მაინც უნდა გაეტანა, ლი ბოიერსა და მარკ ვიდუკასაც უნდა გაეტანათ. მასპინძლებს კი უკვე 37-ე წუთზე გაუძევეს გრემ სტიუარტი.

„ბევრი გავაფუჭეთ, მაგრამ ლიდერობა სასიამოვნოა“ — კმაყოფილი იყო იორკშირელთა თავკაცი დევიდ ოლირი — „ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ, მაგრამ წინ გრძელი სეზონია“.

**ირაკლი გამყრელიძე**


ალან შირერს (№9) როი კინმა ჯერ ბურთი ესროლა, მერე მუშტიც მოუქნია

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლიდსი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 5 | 11 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 2 არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 7 |
| 3 ბოლტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 6 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 4 |
| 4 ნიუკასლი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 4 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 5 მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:10 | 3 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 2 |
| 6 ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 |
| 7 სანდერლენდი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 2 |
| 8 ევერტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 9 ასტონ ვილა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 10 ლივერპული | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 11 ტოტენჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 12 იფსვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 13 ფულემი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 14 ბლექბერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 15 დერბი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 16 ჩარლტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 17 ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:11 | -8 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | -5 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 3 |
| 18 საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 3 |
| 19 მიდლსბრო | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | -8 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 20 ვესტ ჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 4 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 4 |

**VI ტური**

18 სექტემბერი
არსენალი - ნიუკასლი
ლიდსი - ევერტონი
სანდერლენდი - ტოტენჰემი

19 სექტემბერი
ბლექბერნი - ბოლტონი
ჩელსი - ჩარლტონი
ლესტერი - მიდლსბრო
ლივერპული - ფულემი
მანჩესტერი - დერბი
საუთჰემპტონი - იფსვიჩი
ვესტ ჰემი - ასტონ ვილა

## პირველი დივიზიონი

### VII ტური

**ვულვერჰემპტონი 2:2 სტოკპორტი**

0:1 კუქი (24), 1:1 რობინსონი (69), 1:2 ტეილორი (71), 2:2 ბლეიქი (78)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ლესკოტი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი, რობინსონი, კამერონი, კენედი, ბლეიქი, პრუდლოკი (მილერი 57)
თიმურ ქეცბაია განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
20 742 მაყურებელი

**ბარნსლი 2:0 ქრიუ**

1:0 გორე (50), 2:0 ნაილი (78)

**ბარნლი 5:2 უოლსოლი**

1:0 ტეილორი (31), 2:0 იან მური (45), 2:1 ვრაკი (51), 2:2 დევისი (64ს.კ.), 3:2, 4:2 ბრისკო (69, 72), 5:2 კუკი (80)

**გრიმსბი 0:0 ნოტინგემი**

**მანჩესტერ სიტი 3:0 ბირმინგემი**

1:0 გოტერი (23), 2:0 დანი (24), 3:0 გოტერი (42)

**პორტსმუთი 4:2 კრისტალ პალასი**

1:0 ზამპერინი (5), 1:1 როჯერი (11), 2:1 პროსინეჩკი (38), 3:1 ბერჩილი (63პ), 3:2 ფრიდმანი (70), 4:2 კრუში (76)

**პრესტონი 1:0 მილუოლი**

1:0 ანდერსონი (3)

**როტერჰემი 1:1 ნორვიჩი**

0:1 სკოტი (51ს.კ.), 1:1 რობინსი (70)

**შეფილდ იუნაიტედი 0:1 ქოვენთრი**

0:1 დელორგი (72)

**უოტფორდი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**

0:1, 0:2 დობი (30, 52), 1:2 გეილი (60)

**უიმბლდონი 1:1 შეფილდ უენსდი**

0:1 ჯონსონი (40), 1:1 ჰიუზი (58)

**ბრედფორდი 5:1 ჯილინგემი**

1:0 ვეზეროლი (12), 2:0 ტოდი (57), 3:0 ჯექი (60), 4:0 რ. ბლეიქი (81), 5:0 კარბონე (84), 5:1 კინგი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 7 | 6 | 0 | 1 | 20:10 | 18 |
| პორტსმუთი | 7 | 4 | 2 | 1 | 16:11 | 14 |
| გრიმსბი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:6 | 14 |
| ბრედფორდი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:7 | 13 |
| ნორვიჩი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:5 | 13 |
| სიტი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:10 | 12 |
| ბირმინგემი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:8 | 12 |
| ვულვზი | 6 | 3 | 3 | 0 | 10:7 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| უოტფორდი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| ბარნსლი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:12 | 8 |
| ჯილინგემი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 7 |
| ქოვენთრი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:4 | 7 |
| ნოტინგემი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:6 | 6 |
| კრ. პალასი | 5 | 2 | 0 | 3 | 12:14 | 6 |
| მილუოლი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:9 | 6 |
| უიმბლდონი | 7 | 1 | 3 | 3 | 10:13 | 6 |
| პრესტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:11 | 6 |
| ქრიუ | 6 | 2 | 0 | 4 | 5:11 | 6 |
| შეფილდი | 6 | 0 | 5 | 1 | 6:7 | 5 |
| უენსდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |
| უოლსოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:13 | 4 |
| როტერჰემი | 6 | 0 | 3 | 3 | 7:12 | 3 |
| სტოკპორტი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | 2 |

## მეორე დივიზიონი

მე-7 ტური: ბორნმუთი — ბერი 3:2; ბრისტოლი — კოლჩესტერი 3:1; კემბრიჯი — კარდიფი 2:1; ჰადერსფილდი — ბლეკპული 2:1; ნორთჰემპტონი — ჩესტერფილდი 0:2; ნოტსი — ბრენტფორდი 0:0; ოლდემი — პიტერბრო 2:0; ქუინზ პარკი — პორტვეილი 4:1; სტოკი — რედინგი 2:0; სუინდონი — ტრანმერი 2:2; რექსემი — ბრაიტონი 1:2; უიკომბი — უიგანი 1:0

## მესამე დივიზიონი

მე-7 ტური: ჩელტენემი — კარლაილი 2:0; ექსეტერი — ოქსფორდი 3:2; კიდერმინსტერი — პლიმუთი 0:0; ლეიტონი — რაშდენი 2:1; ლინკოლნი — როვერსი 0:1; მაკლსფილდი — ჰალი 0:0; მენსფილდი — შრუსბერი 2:1; როჩდეილი — სკანთორპი 2:2; საუთენდი — ჰარტლპული 0:0; სუონსი — ჰალიფაქსი 0:2; ტორკი — დარლინგტონი 2:1; იორკი — ლუტონი 1:2

## გერმანია

VI ტური

**ბაიერნი 1:0 ფრაიბურგი**

1:0 ელბერი (89)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, ლინკე (რ. კოვაჩი 39), ლიზარაზუ, ნ. კოვაჩი (იანკერი 68), ფინკი (ტიამი 32), სფორცა, სალიჰამიჯიჩი, ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი (კონდე 22), დიარა, კობიაშვილი, კელი, ცქიტიშვილი (ვილი 75), ა. ცაიერი, კულიბალი, ტანკო, სელიმი, იაშვილი (გერბერი 84)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ფინკი, კობიაშვილი
მსაჯი: ვაინერი
46 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 კიოლნი**

0:1 ლოტნერი (15), 1:1 აილტონი (68)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, სკრიპნიკი, ტიკუზუ, ფრინგსი, სტალტერი (კლასნიჩი 66), ბოროვსკი, ბანოვიჩი (ა. ჰერცოგი 46), აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
კიოლნი: ბადე, კულმანი, ქეიორი, კელერი, ბალიჩი, რეები (სიხონე 46), შპრინგერი, ლოტნერი, შერცი (ჩიკონი 90), კროიცი, ბარანეკი (დონკოვი 68)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ჰერცოგი, ბოდე, ბოროვსკი, ქეიორი, ბარანეკი
მსაჯი: მაიერი
26 718 მაყურებელი

**შალკე 1:0 დორტმუნდი**

1:0 მიოლერი (17)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვან ჰუგდალემი, ვან კერკჰოვენი, უდე კამფუისი, ნემეცი (ტონი 76), ვერმანტი, მიოლერი, ბიომე, აგალი (ვილმოტსი 88), ე. მპენზა (ასამოა 76)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, როიტერი (ოლისე 16), დედე, სტევიჩი (ჰერლიხი 77), როსიცკი, რიკენი (სორენსენი 63), ამოროზო, იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ვან კერკჰოვენი, როიტერი, სტევიჩი, იურგენ კოლერი, ამოროზო
მსაჯი: ფანდელი
60 204 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:2 შტუტგარტი**

0:1 ზაიცი (8), 0:2 ბალაკოვი (65პ)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი (გრაინერი 71), ბილიშკოვი, პეტკოვიჩი (კუჰბაუერი 46), რაუ, კარჰანი, აკონორი, დ. მუნტიანუ, პონტე (ტ. მარიჩი 46), პეტროვი, კენედი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ბორდონი, კარნელი, სოლდო, მაისნერი, გლები (ტიფერტი 46), ბალაკოვი, ზაიცი (გერბერი 90), ადემარი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: პეტკოვიჩი, აკონორი, ბილიშკოვი, სოლდო
მსაჯი: აუსტი
12 476 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:2 ლაუტერნი**

0:1 ლინკოლნი (67), 0:2 კლოსი (73)
ნიურნბერგი: კამპა, ნიკლი, კოსი, იოჰანსონი, ვიბლიშაუზერი, ფრაი, სანე (ლაიტლი 74), ლ. მიულერი, იაროლიმი, დრილერი (გომისი 65), მიხალკე (პობში 71)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ლაუტერნი: გ. კოხი, კლოსი, ჰენგენი, კნავსი, გრამოციისი, რამზი, რატინიო (კულიგი 88), შტრასერი, ლინკოლნი (მალცი 76), ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: მიულერი, ფრაი, კოსი, ვიბლიშაუზერი, ჰენგენი, კოხი, რატინიო
მსაჯი: კოომი
30 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:3 მიონხენგლადბახი**

1:0 ბენჯამინი (14), 2:0 ალბერტცი (17პ), 2:1 მიუნხი (21), 2:2 ვან ჰუდტი (56), 3:2 ალბერტცი (90), 3:3 მაიკლი (90)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა, იუფ ფალუში, ტოფტინგი, გროთი (მალტრიცი 71), ალბერტცი, მეიერი, ბენჯამინი, კეტელაერი (ჰრეგერი 64), ბესტერი (იებოა 71)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
მიონხენგლადბახი: შტილი, ვიტეჩეკი, კორელი, პლეტჩი, მიუნხი, ნილსენი, ჰაუსვაილერი (ასანინი 36), დემო, კორზინეცი (მაიკლი 78), ვან ლენტი, ვან ჰუდტი (ულიხი 84)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ჰერჩი, მეიერი, ალბერტცი, ვიტეჩეკი
მსაჯი: კრუგი
54 092 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:1 ზანქტ პაული**

1:0 ბალაკი (44), 2:0 კირსტენი (60), 2:1 რატი (79), 3:1 შნაიდერი (80)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, სებესკენი, რამელო, ზე რობერტო, ბ. შნაიდერი, ბალაკი, ბასტურკი (რინკე 85), კირსტენი (ბერბატოვი 80), ნოივილი (პლასენტე 65)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ზანქტ პაული: ბულატი, ტრულსენი (რატი 72), სტანისლავსკი, ამადუ, კოლინგერი (მეგლე 63), ინჩემანი, კინცი, გიბსი, ბარისი, მანსურიანი (იაკუბუ 63), პაჩინსკი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: სებესკენი, ნოივილი, ბალაკი, რამელო, პლასენტე, შნაიდერი, კინცი, გიბსი, ტრულსენი, მეგლე, ბალაკი
გაძევება: ბალაკი (61)
მსაჯი: კემლინგი
21 000 მაყურებელი

**ჰერტა 2:1 მიუნხენი**

0:1 აგუსტინო (45), 1:1 ტაპალოვიჩი (59ს.კ.), 2:1 პრეეცი (79)
ჰერტა: ტირალი, ვან ბურიკი (სიმუნიჩი 27), სვერისონი, შმიდტი, მაასი, რემერი, გოორი (ნოიენდორფი 46), დაისლერი, მარსელინიო, პრეეცი, ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
მიუნხენი: იენჩი, რისეტი, ზელიჩი, ბფუდერერი, ბორიმიროვი, ტ. ჰოფმანი, ვიზინგერი (ტაპალოვიჩი 46), ჰესლერი (დეედენი 65), მ. ვაისენბერგერი, აგოსტინო, შროტი (მაქსი 22)
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: დაისლერი, დეედენი, შროტი, ბორიმიროვი, დეედენი
გაძევება: დეედენი (80), ალვეში (88), რისეტი (88)
მსაჯი: ვაგნერი
25 000 მაყურებელი

**ჰანზა 0:0 კოტბუსი**

ლანგემ ვერ გაიტანა პენალტი (4, ააცილა)
ჰანზა: შობერი, ბენკენი (სალუ 60), იაკობსონი, ოსვალდი, შროიდერი (ბრანდი 80), ლანგე, ვიბრანი, ლანცი, მაული, ბაიერლე (არვიდსონი 89), დი სალვო
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, და სილვა, მატიუში, მირიუტა, აკრაპოვიჩი (სკერბე 52), ტილმანი (ჰუჯეროროვიჩი 64), რეგეკამპფი, კობილანსკი, ჰელბიგი, ლაბაკი (ტოპიჩი 69)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ლანცი, ჰელბიგი, კობილანსკი, პიპლიცა, ჰელბიგი
გაძევება: ჰელბიგი (57)
მსაჯი: ფლიშერი
21 500 მაყურებელი

# მიოლერი, მიოლერი გაგვიზრდია შემში...
# მშვიდობის მტრედი ელბერი



REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — დორტმუნდი. სანდი ოლისე (მარჯვნივ) და ანდრეას მიოლერი ბურთისთვის ფეხებით, ხოლო ერთმანეთის წინააღმდეგ ხელებით იბრძოდნენ

**ანდრეას ბრემეს** „კაიზერსლაუტერნმა" ექვსიდან მეექვსე მატჩიც მოიგო და 1998-99 წლების სეზონში „ბაიერნის" დამყარებული ბუნდესლიგის რეკორდი გაიმეორა. ლაუტერნელები პირველ საფეხურზე მყარად დგანან და უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს" უკვე ოთხი ქულით უსწრებენ.

ელიტაში წლეულს დაბრუნებულ „ნიურნბერგთან" სტუმრებმა დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და მიზანსაც მიაღწიეს. მასპინძელთა მონდომებასა და შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. „ნიურნბერგი" ბოლო ნახევარ საათში გატყდა. ჯერ კლოზეს პასით ბრაზილიელმა ლინკოლნმა გაიტანა. მერე კი იმავე ლინკოლნის კუთხურს პოლონელი კლოსის თავური და მეორე გოლი მოჰყვა.

მოიგო ლევერკუზენის „ბაიერმაც", მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მესამედი კაცნაკლულმა ითამაშა. მიხაელ ბალაკს, რომელიც ბუნდესლიგაში მეასე მატჩს ატარებდა, ორი გაფრთხილების მიზეზით დაატოვებინეს მინდორი. თუმცა, ბალაკმა იუბილე მაინც აღნიშნა. პირველი ტაიმის ბოლოს ზე რობერტოს ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და თავისიანები დააწინაურა.

მეორე ბებერმა ულფ კირსტენმა შეაგდო. ზანქტპაულელებმა მხოლოდ ერთხელ გაამწვავეს სიუჟეტი, როცა მარსელ რატმა ერთი საპასუხო გაიტანა, მაგრამ სიმწვავე ხანმოკლე გამოდგა. წუთიც არ გასულიყო, რომ ბერნდ შნაიდერმა მესამედ აიღო ჰამბურგელთა კარი და დავიდარაბაც ამით დამთავრდა.

დორტმუნდის „ბორუსიამ" კი ჩინებული დასაწყისის მერე ზედიზედ მეორედ წააგო და სამეულს მიღმა აღმოჩნდა. წინა ტურში „შავ-ყვითლებმა" შინ „ბაიერნთან" 0:2 დათმეს, შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის გამხსნელ მატჩს კიევთანაც ამავე ანგარიშით აგებდნენ, მაგრამ მოახერხეს და გაათანაბრეს. შაბათს კი გელზენკირხენის ახალ „არენაზე", რურის 117-ე დერბიში „შალკესთან" 0:1 დამარცხდნენ.

დორტმუნდელები მათმა ყოფილმა კერპმა, 34 წლის ანდრეას მიოლერმა დასაჯა. მიოლერი შვიდ წელიწადს თამაშობდა „დორტმუნდში". 90-იანის შუაში ამ კლუბის არნახული აღზევების ერთი მთავარი შემოქმედიც გახლდათ და შარშან ზაფხულში გადაბარგდა გელზენკირხენში. ამას ადგილობრივი ფანების ფრიადი გულისწყრომაც მოჰყვა, სადაც უნდოდა წასულიყო, ოღონდ არა „შალკეშიო". მოგეხსენებათ, ეს ორი გუნდი ერთმანეთთან კატა-თაგვივით არიან. მერე ვნებები მინელდა, თუმცა შაბათ საღამოს მის გვარს უეჭველად არაერთ ბრუნვაში ახსენებდნენ...

საქმე კი ასე იყო. მე-15 წუთზე „დორტმუნდის" კაპიტანი შტეფან როიტერი დაშავდა. მის მაგიერ გამოსული ნიგერიელი ოლისე კი თამაშში ჯეროვნად ვერ ჩაერთო. სწორედ ოლისესა და კიდევ ერთი ვეტერანის, იურგენ კოლერის პოზიციურ შეცდომას მოჰყვა გოლი. მიოლერი ჩვეული სისწრაფით შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და შორეულ კუთხეში გაიტანა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი. დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა, როცა დორტმუნდელთა რიგებში ჰაიკო ჰერლიხი გამოჩნდა. კაცი, რომელსაც შარშან ტვინის კიბო დაუდგინეს და გადარჩებოდა თუ არა, არავინ იცოდა.საბედნიეროდ, ჰერლიხმა ავადმყოფობას აჯობა და აი, ერთწლიანი საშინელების მერე პირველად დაუბრუნდა მინდორს. ჰერლიხთან დაკავშირებით ერთი ამბავიც გავიხსენოთ. ამ 30 წლის თავდამსხმელს გერმანიის ნაკრებში ხუთჯერ უთამაშია. პირველად თბილისში, 1995 წლის მარტში, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ. მაშინ ის „გლადბახის" ფეხბურთელი გახლდათ და გერმანიის ყველაზე პერსპექტიულ თავდამსხმელად მიიჩნევდნენ...

უეფენბერგო, უშოლო და უიერემისო „ბაიერნმა" „ფრაიბურგს" უმასპინძლა და ისევ გონიერი ტაქტიკის არჩევით მოიგო, თუმცა გოლის გატანა ბოლო წუთზეღა მოახერხა.

ერთ დროს „ფრაიბურგი" მიუნხენელთათვის უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა, მაგრამ მერე ვითარება შეიცვლა. უკვე ცხრა მატჩია „დავითი გოლიათს" ველარაფერს უხერხებს.

ფოლკერ ფინკეს გუნდს წლეულს მართლაც არ უმართლებს. თითქოს შარშანდელზე ცუდად არ თამაშობს, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ერთი მოგება და ორი ფრე ექვს ტურში, სულ ეს არის მათი წლევანდელი მონაგარი.

შეხვედრის გმირი სტუმართა მეკარე რიხარდ გოლცი გახდა. მან სულ ცოტა ხუთჯერ ისეთი დარტყმები მოიგერია, აულებელი იყოო, რომ ამბობენ ხოლმე. მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა. რობერტ კოვაჩმა თავისი ნახევრიდან საჯარიმოში ჩააწოდა, იქ საჰაერო ბრძოლა იანკერმა მოიგო, ბურთი ელბერს დაუგორა და ბრაზილიელმაც ზუსტად დაარტყა. თუმცა სიხარული ბრაზილიური ცეკვით არ გამოუხატავს, ხელებით მტრედი გამოსახა, მშვიდობის მტრედი, რომელიც ცნობილი ამბების გამო ყველა სარეკლამო პლაკატზე დაეხატათ...

„გოლს მართლაც დიდ ხანს ველოდეთ, მაგრამ ბოლოს მთელი ძალებით შევუტიეთ და კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ფეხბურთელების მონდომება დაფასდა" — თქვა მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ფრაიბურგელებმა, რომლებიც უჩვეულო თეთრ-ცისფერი ფორმით თამაშობდნენ, ყველაზე სახიფათო მომენტი პირველი ტაიმის შუაში შექმნეს, როცა ტანკომ ლიზარაზუ მოატყუა და იაშვილს დაუგორა, მაგრამ ქართველმა ბურთი კარს ზემოთ დაარტყა.

დრამატული გამოდგა კვირის „ჰერტა" — „მიუნხენის" მატჩი, რომელშიც მსაჯმა ვაგნერმა ერთი მასპინძელი და ორი სტუმარი ფეხბურთელი გააძევა. მიუნხენელებმა ერთი საკუთარ კარშიც გაიტანეს, ხოლო ბერლინელებმა ლამის წაგებული თამაში მოიგეს...

დაბოლოს, ამერიკაში მომხდარი ტრაგედიის პატივსაცემად, ბუნდესლიგის ცხრავე მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო და ყველა გუნდმა შავი სამკლავურებით ითამაშა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 ლაუტერნი | 6 | 6 | 0 | 0 | 16:6 | 10 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 |
| 2 ლევერკუზენი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:6 | 7 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 |
| 3 ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 7 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:3 | 7 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 |
| 5 კოტბუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 2 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 6 შალკე | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 7 შტუტგარტი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 3 | 0 | 3 | 0 | 0:0 | 0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 |
| 8 გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 9 ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 |
| 10 კიოლნი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 11 მიუნხენი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 12 ჰამბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 13 ფრაიბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 14 ვერდერი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | -5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 15 ჰანზა | 6 | 1 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | -5 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 |
| 16 ნიურნბერგი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | -6 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 17 ვოლფსბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:13 | -7 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | -5 | 1 |
| 18 ზტ. პაული | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | -7 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 4 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 4 |
| ვან ლენტი (მიონხენგლადბახი) | 4 |

**VII ტური**

23 სექტემბერი

მიუნხენი - ვოლფსბურგი
შტუტგარტი - ჰანზა
კოტბუსი - ბაიერნი
ფრაიბურგი - შალკე
დორტმუნდი - ლევერკუზენი
ჰამბურგი - ვერდერი
კიოლნი - ნიურნბერგი
ლაუტერნი - ჰერტა
გლადბახი - ზანქტ პაული

## მეორე ბუნდესლიგა

VI ტური

**შვაინფურტი 0:0 ფიურტი**

ფიურტი: რაიხოლდი, ბოი, მამიჩი, შლიკე (ჰასა 61), სურმანი, ბატისტა, რაიხელი, აზუზი, რაისი (რუმანი 70), ტიური, ჰესენთალერი
მიორგი დიკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: იურგენ ჰესელბახი
8 700 მაყურებელი

**ალენი 2:5 ბოხუმი**

1:0 ჰამანი (5), 1:1 კოლდინგი (12), 2:1 შუსტერი (42), 2:2 ბაკლი (70), 2:3 შროიდერი (75), 2:4 ბაკლი (87), 2:5 ბემბენი (90)

**ობერჰაუზენი 1:3 მაინცი**

0:1 კრამნი (19), 0:2 ტურკი (27), 1:2 რიტპიჩი (50), 1:3 კრამნი (90)

ზაარბრიუკენი 1:0 დუისბურგი
1:0 ხოჯი (64)

**როიტლინგენი 3:1 ალემანია**

1:0 იანიჩი (14), 2:0 გარსია (24), 3:0 დიაბა (38), 3:1 დიანე (47)

**ბაბელსბერგი 1:4 უნტერჰახინგი**

0:1 ნოვაკი (23), 0:2 ლექსა (43), 0:3 ბარტელი (82ს.კ.), 1:3 კივა (87პ), 1:4 რაკლი (90)

**ჰანოვერი 5:0 კარლსრუე**

1:0 როტენბახი (19ს.კ.), 2:0 შიმაკი (31), 3:0 კრიტა (38), 4:0, 5:0 შიმაკი (62, 73)

**ვალდჰოფი 1:1 უნიონი**

1:0 ვუკოტიჩი (51), 1:1 მენზე (59)

**აინტრახტი — არმინია**

წუხელ გვიან გაიმართა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| მაინცი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| ჰანოვერი | 6 | 3 | 3 | 0 | 14:4 | 12 |
| ალენი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:13 | 12 |
| უნიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:5 | 11 |
| ბოხუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:9 | 11 |
| ფიურტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| ბაბელსბერგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 10 |
| არმინია | 5 | 3 | 0 | 2 | 11:5 | 9 |
| შვაინფურტი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | 8 |
| ვალდჰოფი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:11 | 8 |
| უნტერჰახინგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| როიტლინგენი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| ალემანია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |
| ზაარბრიუკენი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |
| ობერჰაუზენი | 6 | 0 | 2 | 4 | 7:15 | 2 |
| დუისბურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | 2 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-8 ტური: ქემნიცი — ბრაუნშვაიგი 2:0; ოსნაბრიუკი — ლევერკუზენი (მოყვ.) 2:1; ფორტუნა — მიუნსტერი 1:4; იურდინგენი — აუე 1:0; მაგდებურგი — ქპენი 1:3; ფერლი — დიუსელდორფი 0:1; ლიუბეკი — ვატენშაიდი 1:1; დრეზდენი — კილი 3:4; პადერბორნი — ვერდერი (მოყვ.) 2:3

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-8 ტური: ზიგენი — ტრირი 0:0; ერფურტი — ელვერსბერგი 2:1; ჰოფენჰაიმი — მანჰეიმი 2:1; დარმშტადტი — ანსბახი 0:0; ვეენი — ბურგჰაუზენი 0:1; რეგენსბურგი — ოფენბახი 2:0; კიკერსი — ფულდა 1:2; კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) — აალენი 1:2; ბაიერნი (მოყვ.) — შტუტგარტი (მოყვ.) 2:4

# ჰიჩკოკური თამაში



ვალენსია — ლას პალმასი. მასპინძლებმა და რობერტო ფაბიან აიალამ ორლანდო სუარესს (№9) და მის გუნდს გაჭირვებით მოუგეს

REUTERS ფოტო

## ესპანეთი

III ტური

### სოსიედადი 0:0 სელტა

სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ლორენი, ლუის ალბერტო, ტაიფური (დე პაულა 58), არანბურუ, იდიაკესი, ხოხლოვი, დემეტრაძე (ბარკერო 90)

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ხუანფრანი, სერხიო, ჯოვანელა, კარპინი (ედუ 82), მოსტოვოი, ხესული (გუსტავო ლოპესი 59), ლუქსენი, კატანია (მორისი 74)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ტაიფური, ლოპეს რეკარტე, ხესული, ხუანფრანი

მსაჯი: მეია დავილა

13 809

### ბეტისი 3:1 რეალი

1:0 კასასი (13), 1:1 ზიდანი (14), 2:1 ჩაპი (49), 3:1 ხოაკინი (58)

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ბელენგერი, ფილიპესკუ, კალადუ (კანიასი 32), ვარელა, ჩაპი, იტო, ხოაკინი (მერინო 61), დენილსონი (მინგო 80), კასასი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

რეალი: სესარი, რობერტო კარლოსი (სავიო 63), იერო, კამპო, ჯერემი, ზიდანი, მაკმანამანი, გუტი (მუნიტისი 76), სელადესი, რაული, ფიგუ

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: ბელენგერი, ვარელა, კამპო, ბელენგერი

გაძევება: ბელენგერი (82)

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

50 000 მაყურებელი

### ოსასუნა 0:0 ბარსელონა

ოსასუნა: უნსუე, იანგუასი, ხოსუე, კრუჩაგა, ისკიერდო, პუნიალი, რივერო, განსედო, ლეკუმბერი (ალოიზი 62), ივან როსადო (არმენტანო 76), მონტენეგრო (დავიდ კანო 46)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

ბარსელონა: ბონანო, პ. ანდერსონი, სერხი, კრისტენვალი, პუიოლი, ხავი, კოკუ, როჩემბაკი (ფ. დე ბური 68), ლუის ენრიკე (კოკო 81), კლუივერტი (სავიოლა 64), ჯოვანი

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გაფრთხილება: დავიდ კანო, ლუის ენრიკე, როჩემბაკი, კოკუ

მსაჯი: ანსუატეგი როჩა

14 881 მაყურებელი

### მალიორკა 0:0 ალავესი

მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი (ნოვო 59), ფერნანდო ნინიო, კრისტიან დიასი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო (კარლოსი 79), მარკოსი, ენგონგა (პაუნოვიჩი 69), ეტოო, ლუკე

მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი

ალავესი: კიკე, კოლოჩინი, იბონ ბეგონია, ტელიესი, ჯელი, ლორენსი, პაბლო კონტრერასი, ასტუდილიო, რუბენ ნავარო (მარა 57), მაგნო (ტურიელი 68), კრუიფი (ვიჩგე 46)

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

გაფრთხილება: ენგონგა, კიკე

გაძევება: კონტრერასი (58)

მსაჯი: რამირეს დომინგესი

15 200 მაყურებელი

### დეპორტივო 1:2 ბილბაო

0:1 გერერო (36), 0:2 ურსაისი (52), 1:2 ტრისტანი (62)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი (ფრანი 60), კაპდევილა, ჯოროვიჩი, მაურო სილვა, ამავისკა (სერხიო 46), ვიქტორი, ვალერონი (სკალონი 83), მაკაი, ტრისტანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ბილბაო: არანსუბია, ლარაინსარი, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ლაკრუსი, ურუტია (ორბაისი 65), ოსკარ ვალესი, ი. გერერო, ხავი გონსალესი, ხ. ეჩებერია (ესკერო 80), ურსაისი (ტიკო 75)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: ლარასაბალი, ორბაისი

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

30 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:3 სევილია

0:1 რეიესი (15), 1:1 მუნტიანუ (21), 2:1 დე ლუკასი (47პ), 2:2 კასკერო (54), 2:3 ოლივერა (61)

| 21.00 | 810 | ჩერნომორეცი (რუსეთი)-ვალენსია (ესპანეთი) | 8,0-1,02 |
| 21.00 | 811 | ცსკა (კიევი)-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 2,8-1,3 |
| 21.00 | 812 | პოლონია (პოლონეთი)-ტვენტე (ჰოლანდია) | 2,1-1,45 |
| 21.00 | 813 | დინამო (ხორვატია)-მაკაბი ტელ ავივი (ისრაელი) | 1,25-3,1 |
| 21.00 | 814 | გენჩლერბირლიგი (თურქეთი)-ჰალმსტადი (შვედეთი) | 1,7-1,7 |
| 21.00 | 815 | პარტიზანი (იუგოსლავია)-რაპიდი (ავსტრია) | 1,6-1,8 |
| 21.15 | 816 | ჰაკა(ფინეთი)-უნიონი (გერმანია) | 2,3-1,35 |
| 21.30 | 817 | ცსკა (ბულგარეთი)-შახტარი (უკრაინა) | 2,3-1,4 |
| 21.30 | 818 | პარმა (იტალია)-ჰიკ (ფინეთი) | 1,02-8,0 |
| 21.30 | 819 | ინტერი (სლოვაკეთი)-ლიტექსი (ბულგარეთი) | 1,5-2,0 |
| 21.55 | 820 | მიდტიულანდი (დანია)-სპორტინგი (პორტუგალია) | 3,5-1,2 |
| 22.00 | 821 | ბორდო (საფრანგეთი)-დებრეცენი (უნგრეთი) | 1,05-6,0 |
| 22.00 | 822 | ოლიმპიაკოსი (კვიპროსი)-ბრიუგე (ბელგია) | 5,0-1,1 |
| 22.30 | 823 | დნიპრო (უკრაინა)-ფიორენტინა (იტალია) | 3,5-1,15 |
| 23.00 | 824 | ჰაპოელი ტელ ავივი (ისრაელი)-გაზიანთეფი (თურქეთი) | 2,5-1,35 |
| 23.00 | 825 | ოდ გრენლანდი (ნორვეგია)-ჰელსინგბორგი (შვედეთი) | 3,1-1,25 |
| 23.00 | 826 | სტ. გალენი (შვეიცარია)-სტიაუა (რუმინეთი) | 2,3-1,4 |
| 23.00 | 827 | ოლიმპია (სლოვენია)-ბრიონდბიუ (დანია) | 2,3-1,35 |
| 23.00 | 828 | სტანდარდი (ბელგია)-სტრასბური (საფრანგეთი) | 1,7-1,7 |
| 23.15 | 829 | აეკ (საბერძნეთი)-ჰიბერნიანი (შოტლანდია) | 1,35-2,5 |
| 23.15 | 830 | სერვეტი (შვეიცარია)-სლავია (ჩეხეთი) | 2,0-1,5 |
| 23.15 | 831 | უტრეხტი (ჰოლანდია)-გრაცერი (ავსტრია) | 1,7-1,7 |
| 23.30 | 832 | ჰაიდუკი (ხორვატია)-ვისლა (პოლონეთი) | 1,7-1,7 |
| 23.30 | 833 | კერნტენი (ავსტრია)-პაოკ (საბერძნეთი) | 3,1-1,25 |
| 23.45 | 834 | აიაქსი (ჰოლანდია)-აპოლონი (კვიპროსი) | 1,01-10,0 |
| 23.45 | 835 | კილმარნოკი (შოტლანდია)-ვიკინგი (ნორვეგია) | 1,65-1,75 |
| 23.45 | 836 | ასტონ ვილა (ინგლისი)-ვარტექსი (ხორვატია) | 1,1-5,0 |
| 23.55 | 837 | კოპენჰაგენი (დანია)-ობილიჩი (იუგოსლავია) | 1,45-2,1 |
| 24.00 | 838 | ინტერი (იტალია)-ბრაშოვი (რუმინეთი) | 1,03-7,0 |
| 24.00 | 839 | ჩელსი (ინგლისი)-ლევსკი (ბულგარეთი) | 1,05-6,0 |
| 24.00 | 840 | სარაგოსა (ესპანეთი)-სილკებორგი (დანია) | 1,07-5,3 |
| 00.05 | 841 | იფსვიჩი (ინგლისი)-ტორპედო (რუსეთი) | 1,3-2,5 |
| 00.30 | 842 | სელტა (ესპანეთი)-სიგმა (ჩეხეთი) | 1,1-5,0 |
| 01.45 | 843 | მარიტიმუ (პორტუგალია)-ლიდსი (ინგლისი) | 3,5-1,15 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 სექტემბერი.** | | | | | | | | | |
| 21.00 | 601 | სპარტაკი-ფეიენოორდი | 2,8 | 10,0 | 22,0 | 4,2 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 602 | იუვენტუსი-სელტიკი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,3 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 12,0 |
| 23.45 | 603 | რუსენბორგი-პორტუ | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 5,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 604 | ფენერბახჩე-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.45 | 605 | ლიონი-ლევერკუზენი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 5,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.45 | 606 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 14,0 | 24,0 | 12,0 | 14,0 |
| 23.45 | 607 | მანჩესტერი-ლილი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 14,0 | 24,0 | 12,0 | 14,0 |
| 23.45 | 608 | ბაიერნი-სპარტა | 1,4 | 17,0 | 35,0 | 2,8 | 6,0 | 17,0 | 30,0 | 15,0 | 17,0 |
| | | **19 სექტემბერი.** | | | | | | | | | |
| 23.45 | 609 | ანდერლეხტი-რომა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.45 | 610 | რეალი-ლოკომოტივი | 1,5 | 16,0 | 32,0 | 2,9 | 6,0 | 16,0 | 25,0 | 12,0 | 16,0 |
| 23.45 | 611 | ბოავიშტა-დინამო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 5,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.45 | 612 | დორტმუნდი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.45 | 613 | არსენალი-შალკე | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,3 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 614 | პანათინაიკოსი-მალიორკა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 5,0 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.45 | 615 | ლაციო-ნანტი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,3 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 12,0 |
| 23.45 | 616 | პსვ-გალათასარაი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 5,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |

ტურში გატანილი გოლები

**22 სექტემბერი 18.30 701 გერმანია (მე-7)**
25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**22 სექტემბერი 19.00 702 ინგლისი (მე-6)**
25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**21 სექტემბერი 23.45 703 საფრანგეთი (მე-8)**
22 და ნაკლები - 1,9; 24 და მეტი - 1,9

**22 სექტემბერი 23.30 704 იტალია (მე-4)**
23 და ნაკლები - 1,9; 25 და მეტი - 1,9

**22 სექტემბერი 21.00 705 ესპანეთი (მე-4)**
25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**21 სექტემბერი 01.00 706 პორტუგალია (მე-6)**
22 და ნაკლები - 1,9; 24 და მეტი - 1,9

**21 სექტემბერი 23.00 707 ჰოლანდია (მე-6)**
25 და ნაკლები - 1,9; 27 და მეტი - 1,9

**22 სექტემბერი 18.00 708 პოლონეთი (მე-9)**
19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

**21 სექტემბერი 16.00 709 რუსეთი (მე-25)**
19 და ნაკლები - 1,9; 21 და მეტი - 1,9

## თასის აღება და ჩემპიონობა

| 911 გერმანია | | 912 ინგლისი | | 913 საფრანგეთი | | 914 ესპანეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,5 | მანჩესტერი | 1,5 | ლიონი | 2,5 | რეალი | 1,6 |
| დორტმუნდი | 3,0 | ლივერპული | 4,0 | პსჟ | 2,5 | ბარსელონა | 2,5 |
| ლევერკუზენი | 4,0 | არსენალი | 4,0 | ლანსი | 3,0 | დეპორტივო | 4,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 5,0 | ლიდსი | 4,0 | ოსერი | 5,0 | ვალენსია | 5,0 |
| შალკე | 10,0 | ჩელსი | 10,0 | ლილი | 8,0 | სელტა | 15,0 |
| ჰერტა | 12,0 | ასტონ ვილა | 30,0 | ბორდო | 8,0 | მალიორკა | 30,0 |
| ჰამბურგი | 50,0 | ფულემი | 60,0 | ნანტი | 25,0 | ვილიარეალი | 50,0 |
| მიონხენგლადბახი | 50,0 | სანდერლენდი | 80,0 | ტრუა | 50,0 | ალავესი | 75,0 |

| 915 იტალია | | 916 პორტუგალია | | 917 ჰოლანდია | | 918 ბელგია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,0 | პორტუ | 2,0 | პსვ | 2,0 | ანდერლეხტი | 1,8 |
| მილანი | 3,0 | ბენფიკა | 2,5 | აიაქსი | 2,0 | ბრიუგე | 1,8 |
| რომა | 4,0 | ბოავიშტა | 4,0 | ფეიენოორდი | 2,5 | სტანდარდი | 4,0 |
| ინტერი | 4,0 | სპორტინგი | 4,0 | ვიტესი | 10,0 | გენტი | 6,0 |
| ლაციო | 4,0 | ბრაგა | 30,0 | ტილბერგი | 20,0 | ბეერსხოტი | 20,0 |
| პარმა | 20,0 | გიმარაეში | 40,0 | ტვენტე | 30,0 | ლოკერენი | 40,0 |
| ფიორენტინა | 90,0 | ლეირია | 75,0 | ჰერენვენი | 50,0 | გენკი | 50,0 |
| ბოლონია | 90,0 | ბელენენსეში | 75,0 | როდა | 50,0 | ლიერსი | 75,0 |

| 919 საბერძნეთი | | 920 ჩეხეთი | | 921 პოლონეთი | | 922 თურქეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,8 | სპარტა | 1,8 | ვისლა | 1,75 | გალათასარაი | 1,7 |
| პანათინაიკოსი | 2,0 | სლავია | 2,0 | ლეგია | 2,0 | ფენერბახჩე | 2,0 |
| აეკ | 2,5 | ლიბერეცი | 8,0 | პოლონია | 4,0 | ბეშიქთაში | 4,0 |
| პაოკ | 5,0 | ჟიჟკოვი | 8,0 | პოგონი | 5,0 | ტრაბზონი | 5,0 |
| ირაკლისი | 25,0 | ბოჰემიანსი | 8,0 | ამიცა | 5,0 | გაზიანთეფი | 20,0 |
| არისი | 25,0 | ბანიკი | 8,0 | ზაგლებე | 10,0 | ანკარაგიუჯიუ | 40,0 |
| ოფი | 50,0 | სიგმა | 10,0 | კატოვიცე | 30,0 | ისთანბული | 60,0 |
| იონიკოსი | 50,0 | ბლშანი | 30,0 | ოდრა | 50,0 | გიოზთეფე | 60,0 |

| 923 შოტლანდია | | 924 ავსტრია | | 925 შვეიცარია | | 926 დანია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 1,2 | ტიროლი | 1,8 | გრასჰოპერი | 1,7 | ბრიონდბიუ | 1,7 |
| რეინჯერსი | 3,0 | შტურმი | 1,8 | ციურიხი | 4,0 | კოპენჰაგენი | 2,0 |
| ჰართსი | 30,0 | რაპიდი | 4,0 | სერვეტი | 4,0 | ოლბორგი | 3,0 |
| ჰიბერნიანი | 40,0 | აუსტრია | 5,0 | ბაზელი | 4,0 | ლიუნგბიუ | 6,0 |
| კილმარნოკი | 80,0 | გრაცერი | 7,0 | იანგ ბოისი | 6,0 | აკადემისკი | 8,0 |
| დანდი იუნ. | 90,0 | ზალცბურგი | 10,0 | სიონი | 6,0 | მიდტიულანდი | 20,0 |
| დანდი | 90,0 | რიდი | 75,0 | ლუგანო | 6,0 | ვიბორგი | 30,0 |
| ლივინგსტონი | 90,0 | კერნტენი | 90,0 | სტ. გალენი | 8,0 | ოდენსე | 40,0 |


## დღეიდან თბილისში ამუშავდა „კროკოს" ახალი ბიურო

### მისამართი: გამსახურდიას გამზირი №3

მალე ფოთში და თბილისში (ვაჟა ფშაველას გამზირი №19) გაიხსნება „კროკოს" ახალი ბიუროები

# ჩემპიონთა ლიგა II ტური. დღეს

## E ჯგუფი

### იუვენტუსი — სელტიკი

### რუსენბორგი — პორტუ

დღეს „დელე ალპი“ შოტლანდიის ჩემპიონ „სელტიკს“ უმასპინძლებს. ტურინის „იუვენტუსისა“ და სქოთების დაპირისპირებაში მეტწილად მასპინძელთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ, თუმცა ჩრდილოელთა მავანი უტეხი ქომაგები „ბებერი ქალბატონის“ სტადიონზე სერია A-ს ბოლო ტურში „იუვენტუსი“ — „კიევოს“ თამაშის დროს გამოფენილი პლაკატის — „ელოდეთ მოულოდნელობას“ — მოხდენას ელიან. „იუვენტუსმა“ მოახერხა და დიდი ჭაპანწყვეტით პატარა „კიევო“ ერთი ბურთის სხვაობით დასცა. თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, „სელტიკის“ შანსები „დელე ალპიზე“ არცთუ ურიგოა — ასე მსჯელობს ბრიტანელი გულშემატკივარი, მაგრამ შოტლანდიელთა მწვრთნელმა მარტინ ონილმა უკეთ იცის, ვისთან აქვს საქმე და მისი პროგნოზი სალი და თავშეკავებულია.

მართალია, „იუვენტუსს“ აღარ ჰყავს ზიდანი, მაგრამ ჰყავს მრავალი ტრიუმფალურ გამარჯვებათა მომპოვებელი მარჩელო ლიპი, აგრეთვე ახალი შევსება — ლილიან ტურამი, პაველ ნედვედი, მარსელო სალასი და ჯანლუიჯი ბუფონი. მარტინ ონილი ამ საკითხზე ლაპარაკისას აღნიშნავს: „ტურინელები ამ სეზონში ახლებურად ათამაშდნენ. ზიდანის წასვლა ბევრს არაფერს ცვლის. კანტონა და „მანჩესტერი“ გავიხსენოთ. კანტონა „ოლდ ტრეფორდზე“ შეუცვლელი ეგონათ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მისი წასვლის შემდეგ არ დასუსტებულა. ჩემი აზრით, „იუვენტუსი“ დიდი მარათონისთვის მზად არის, ზიდანის საფასურად შეძენილი ახალი ფეხბურთელები გუნდს მომქანცველ სეზონში დიდ დახმარებას გაუწევენ“.



ედგარ დავიდსი

მარჩელო ლიპის მისთვის ჩვეული მადა გახსნია: „წინ გრძელი სეზონი და ბევრი ჯილდოა. ჩვენ გაბრაზებულები ვართ და ყველა ამ ჯილდოს მოპოვება გვსურს. მე არ ვიცი, რა მოხდება სამშაბათს. ვიცი მხოლოდ ის, რომ მეტოქე ძალიან სახიფათოა და თამაშისთვის სერიოზულადაც ვემზადებით“.

მარჩელო ლიპის ბოლოს და ბოლოს შეუძლია დავიდსის ჯაჭვიდან ახსნა. „პიტბულს“ დოპინგისთვის მისჯილი დისკვალიფიკაციის ვადა დაუმთავრდა და „სელტიკთან“ ამ სეზონში პირველად ექნება თავის გამოჩენის საშუალება. დავიდსი „იუვეს“ შუა ხაზს ძალიან შეეწევა და პაველ ნედვედის უთამაშებლობის გამო გაჩენილი პრობლემების მოგვარებასაც შეეცდება (ნედვედი წინა ჩემპიონთა ლიგაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს ამ და კიდევ ორ მატჩს). ორივე გუნდს ძირითადის თითო კაცი ჰყავს დაშავებული. ეროვნული ჩემპიონატების ბოლო ტურში დაშავდნენ გლაზგოელი ლუბო მორავჩიკი და ტურინელი იგორ ტუდორი. მორავჩიკს, სავარაუდოდ, სტილიან პეტროვი შეცვლის და პოლ ლამბერტისა და ნოელ ლენონის მხარდამხარ ნახევარდაცვაში გაირჯება. მარტინ ონილმა, შესაძლოა, მოედნის ცენტრში ტრავმამოშუშებული მორტენ ვიგჰორსტი, ანაც ჰოლანდიელი ბობ პეტა გაამწესოს. რაც შეეხება ტუდორს, მან ცხვირი გაიტეხა.

## F ჯგუფი

### ლიონი — ლევერკუზენი

### ფენერბაჰჩე — ბარსელონა

შაბათს სტამბოლში „ფენერბაჰჩეს“ დასაზვერად ჩასულ ანტონიო დე ლა კრუზს მხოლოდ ის გაუკვირდა, ტრიბუნები ცარიელი რომ იყო. დე ლა კრუზი კარლოს რექსაჩის თანაშემწეა და მეტოქის შესახებ ცნობების შესაგროვებლად თურქეთში ბრძანდებოდა. „ბარსას“ მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, „ფენერბაჰჩეს“ ორივე თამაშს მოვუგებთო. თურქთა დამრიგებელი მუსტაფა დენიზლი იმ გასაღებს ეძებს, რომლითაც ვარსკვლავებით გადაჭედილი გუნდის დამარცხებას შეძლებს. ერთადერთი, რაც მას აიმედებს, რივალდოს არყოფნაა. მის გარეშე მოთამაშე „ბარსამ“ ხომ ბოლო ორ შეხვედრაში გამარჯვება ვერ შეძლო. რექსაჩს მიაჩნია, რომ თურქები „ბარსელონას“ წინაამდეგ განსაკუთრებულად ირჯებიან. მან „ბეშიქთაშთან“ შარშანდელი წაგება გაიხსენა და დაამატა, ისეთ შეცდომებს აღარ გავიმეორებთო. ამასობაში ბარსელონაში გულშემატკივართა აზრის გამოკითხვაც მოასწრეს. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა 74 პროცენტს სტამბოლში გამარჯვების არ სჯერა.

საინტერესო იქნება „ლიონისა“ და „ბაიერის“ ორთაბრძოლაც. ორივე გუნდი თავისი ქვეყნების ჩემპიონატების ლიდერთა შორისაა. თანაც, რაც მთავარია, მათი თამაშის ხარისხი საკმაოდ მაღალია და შედეგებიც შთამბეჭდავი აქვთ. ფრანგებს შინაურ კედლებში ძლიერი მეტოქეების დაჩაგვრა ძალუძთ. მიუხედავად გუნდიდან მარლეს წასვლისა, „ნანტიდან“ გადასული ერიკ კარიერი ახალ გარემოს კარგად შეეწყო და ბოლო ტურში ყოფილ თანაგუნდელებს გოლიც კი გაუტანა. არც გერმანელები არიან ჯაბანნი. ისინი ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიიწევენ წინ შინაურ ჩემპიონატში და გამოცდილებაც არ აკლიათ. ასე რომ, ჯგუფიდან გასვლისთვის გვარიანი ბრძოლა გაჩაღდება.



კარლოს რექსაჩი და „ბარსელონა“

## G ჯგუფი

### მანჩესტერი — ლილი

### დეპორტივო — ოლიმპიაკოსი

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე იტალიური „პარმას“ მძლეველი „ლილი“ ჯგუფურ ეტაპზე პირველ მატჩს სტუმრად „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გამართავს. საფრანგეთის პირველ დივიზიონში წინა წელს აღზევებულ და უცბად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილ „ლილს“ სერიოზულ ძალად ალბათ ცოტა თუ თვლის. სწორედ მოულოდნელობის, მეტოქის ძალის შეუფასებლობის ეფექტისა ეიმედება ფრანგულ გუნდს. „ლილის“ დანიელი თავდამსხმელი მიქაელ ბეკი, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ „მიდლსბროსა“ და „დერბის“ შემადგენლობაში უთამაშია, ამბობს: „ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ მეტოქე არ გვიცნობს, უფრო სწორად, სერიოზულ მოწინააღმდეგედ არ აღგვიქვამს. თუმცა თამაშის დროს დაცვაში დიდი ჯაფა დაგვადგება, „მანჩესტერის“ შეტევების შეჩერება სირთულეებს შეგვიქმნის“.

„ლილის“ მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი, ცხადია, გუნდს საბრძოლველად ამზადებს, მაგრამ: „ვითამაშოთ და არ წავაგოთ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან, ჩვენთვის უკვე დიდი წარმატება იქნება. ამაში იღბალმაც უნდა შეგვიწყოს ხელი“.

G ჯგუფის მეორე წყვილი ლა კორუნიაში ითამაშებს. ესპანეთის ვიცე-ჩემპიონები ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ დაუპირისპირდებიან. მასპინძლები საკუთარ კედლებში სამი ქულის მითვლას გეგმავენ. „დეპორტივოს“ ბრაზილიელი ნახევარმცველი მაურო სილვა უფრო შორსაც მიდის, ბერძნებთან შეხვედრაზე არც კი ლაპარაკობს და ოცნებობს: „დეპორტივოს“ აქვს ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი. ჩვენ სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ და შეგვიძლია, ასეთ წარმატებას მივაღწიოთ. ამისთვის მთელი წლის მანძილზე დაძაბული ბრძოლა მოგვიწევს. ყველა თამაშს დიდი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ და თავს მოდუნების უფლება არ მივცეთ. ეს სეზონი ჩვენთვის, ისევე როგორც „რეალის“, „მანჩესტერისა“ და „ბაიერნისთვის“ ძალიან მძიმე იქნება. თუმცა კვლავაც დავსძენ, „დეპორტივოს“ ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალუძს.“

როგორც ვხედავთ, „დეპორიც“ გარეულა ევროპული ფეხბურთის ელიტარულ მარაქაში. ლიგის მოგებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრაში მასპინძლები სწორედ რომ ფავორიტებად არიან მიჩნეულნი.



მაურო სილვა

## H ჯგუფი

### ბაიერნი — სპარტა

### სპარტაკი — ფეიენოორდი

საინტერესო ფაქტია: „სპარტაკს“ ევროთასებზე არასოდეს წაუგია ჰოლანდიურ გუნდებთან. სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ 12 შეხვედრიდან მოსკოველებმა 9 მოიგეს და 3-ჯერ ფრედ ითამაშეს...

სპარტაკელები ახლაც დარწმუნებულნი არიან, რომ „ფეიენოორდს“ მოუგებენ. იძულებითი შესვენება მათთვის სასარგებლოც გამოდგა. გუნდის ექიმის, იური ვასილკოვის თქმით, ანგინა მოირჩინა მცველმა იური კოვტუნმა, გამოკეთდა ბოსნიელი მეკარე ადნან გუსო, ძირითადთან ერთად ვარჯიშობს ნახევარმცველი არტიომ ბეზროდნი. ერთადერთი, ვისი თამაშიც სათუოა, ბელარუსი ფორვარდი რომან ვასილიუკი გახლავთ.

ამ მხრივ ჰოლანდიელებს უარესად აქვთ საქმე. ხუთშაბათს ვარჯიშზე მცველი კიის ვან ვონდერენი დაუშავდათ, ბოლო ტურში კი მას იაპონელი ფორვარდი შინჯი ონოც დაემატა. ესენი ნაღდად ვერ ითამაშებენ. არადა, ონო, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე პირველი იაპონელი შეიძლებოდა გამხდარიყო. ახლა, შესაძლოა, არსენალელმა იუნიჩი ინამოტომ დაასწროს.

„ფეიენოორდის“ მწვრთნელი ბერტ ვან მავრიიკი: „ძალიან რთული მატჩი გველის. მოსკოველთა ერთ-ერთი ბოლო თამაშის ჩანაწერი ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩინებული გუნდია. ჩვენ კი ორი მნიშვნელოვანი მოთამაშე გამოგვაკლდა...“

დამრიგებელს ეთანხმება თავდამსხმელი პიერ ვან ჰოიდონკიც: „დიახ, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ, ეგებ მოსკოვიდან ქულა მაინც წავიღოთ. ისე, ჯობდა ლიგის ტურნირი „ბაიერნთან“ შეხვედრით დაგვეწყო.“

შაბათს „ფრაიბურგთან“ მოგებას „ბაიერნის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი შეეწირა. თომას ლინკემ მარცხენა მხარი დაიზიანა და ექიმებმა თვენახევრიანი მკურნალობა გამოუწერეს. ამრიგად, ეფენბერგს, შოლს და იერემისს ლინკეც მიემატა.

სამაგიეროდ, მომჯობინდა ჩირიაკო სფორცა. შვეიცარიელმა სულ რამდენიმე დღეა საერთო ჯგუფთან დაიწყო ვარჯიში, მაგრამ „ფრაიბურგთან“ ჩინებულად გაართვა თავი გამთამაშებლის როლს.

„ამერიკაში მომხდარის შემდეგ ფეხბურთზე ფიქრი ცოტა ძნელია, მაგრამ თამაში საჭიროა. „ფრაიბურგთან“ გოლს დიდ ხანს ველოდეთ, მაგრამ ბიჭებს მონდომება მაინც დაუფასდათ. იმედია, „სპარტასთანაც“ ვაჩვენებთ, რა შეგვიძლია.“

„ბაიერნმა“ „ფრაიბურგს“ ბრაზილიელი ელბერის ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოუგო. მისმა მოწინააღმდეგე ჩეხურმა „სპარტამ“ კი ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში ლუკას ჰარტიგისა და ვლადიმირ ლაბანტის გოლებით „ჟიჟკოვს“ 2:0 სძლია და როგორც ამბობენ, მძიმედ დაწყებული სეზონის მერე თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გამოასწორა.



ჩირიაკო სფორცა

FORMULA 1

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთხუთმეტე ეტაპი

# მონტოიასთვის მონცაა რაცაა!




**ხუან პაბლო მონტოია**

კოლუმბია

დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს ბოგოტაში
ცხოვრობს მონტე კარლოში. უცოლო
სიმაღლე 168 სმ, წონა 72
„კარტის" 1999 წლის ჩემპიონი
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება: იტალიის დიდი პრიზი (2001)
15 რბოლა, 1 მოგება, 3 პოდიუმი, 3 პოული, 1 უსწრაფესი წრე, 25 ქულა
გუნდი: „უილიამს-BMW"
მონტოია 91-ე პილოტია, ვისაც დიდი პრიზი მოუგია.

**მოსახდენი,** ცხადია, მაინც მოხდა. მართალია, ისე მალე არა, როგორც ამას ხუან პაბლო მონტოიას სულწასული ფანები ელოდნენ, მაგრამ არც დაგვიანებით — პირველივე სეზონში რბოლის მოგება საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

25 წლის კოლუმბიელი ფორმულაში გამოსულ 591 პილოტთაგან 91-ეა, ვისაც ერთი დიდი პრიზი მაინც მოუპოვებია. სერ ფრენკ უილიამსი შარშან კარგა ხანს ყოყმანობდა, დაეტოვებინა თავის გუნდში ნიჭიერი თანამემამულე ჯენსონ ბატონი, რომელმაც სადებიუტო სეზონში ჩინებული შედეგით (მერვე ადგილი) ყველა აალაპარაკა, თუ ამერიკიდან იქაური „კარტის" ორგზის გმირი მონტოია მოეწვია. „რკინის ფრენკმა" არჩევანი საბოლოოდ სამხრეთამერიკელზე შეაჩერა და როგორც უკვე გამოჩნდა, არც შემცდარა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ახალწვეულმა თავის შეფს თავიდან თავსატეხი გაუჩინა ტრასაზე რბილად რომ ვთქვათ, არასტანდარტული ქცევით: ხუანი 14 რბოლიდან ათჯერ ფინიშამდე კარგა ხნით ადრე გამოეთიშა ბრძოლას, რასაც მხოლოდ უიღბლობას, ანდა მეტოქეთა მიერ მის მიმართ არაკორექტულობას ვერ დავაბრალებთ. მთავარი, რითაც მან მაყურებლები მოხიბლა, საჭის უზადო ცოდნა გახლავთ, რაც კოლუმბიელს მართლაც არ დაეწუნება. თანდათან გამოცდილებაც მოვიდა და ის, რომ მთელს ფორმულაში უსწრაფეს მონცას ტრასაზე მონტოიას უმძლავრესძრავიანმა „უილიამსმა" ყველას აჯობა, კანონზომიერი შედეგი უფროა, ვიდრე სენსაცია.

იტალიური ეტაპის ჩატარება სათუო იყო ერთი კვირის წინ ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი საშინელი ტრაგედიის გამო. მართალია, რბოლა მაინც შედგა, მაგრამ „მონცასთვის" ჩვეული ზესაზეიმო განწყობილება ამჯერად არ იგრძნობოდა.

„ფერარის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გუნდის მრბოლები და მანქანები სადად, სარეკლამო წარწერების გარეშე გავიდნენ საასპარეზოდ. ამასთან, ბოლიდებს „ცხვირები" შავად შეუღებეს. დაძაფრული სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა შაბათს გერმანიიდან მოსულმა ცნობამ — ლაუზიცის უახლეს ავტოდრომზე კარტის მორიგი რბოლისას არნახულ კატასტროფაში მოჰყვა ამ ამერიკული ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული, ყოფილი ფორმულელი ალესანდრო ძანარდი. ბოქსებიდან გამოსვლისას ტრასაზე გვერდულად დამდგარ მის „რეინარდ-ჰონდას" 320-კილომეტრიანი სიჩქარით ზუსტად კოკპიტში შეასკდა კანადელი ალექს ტალიანის „რეინარდ-ფორდი". საშინელი ძალის დარტყმამ იტალიელის ბოლიდი ორად გაგლიჯა. ძანარდის ფეხები ისე დაეჩეჩქვა, რომ ბერლინის კლინიკაში მას ორივე კიდურის ამპუტაცია გაუკეთეს. 34 წლის პილოტმა ბლომად სისხლიც დაკარგა და ჯერაც უმძიმეს მდგომარეობაში, კომაში იმყოფება.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ამბავი დაშავებულის ექსკოლეგებზე. მიხაელ შუმახერმა, მრბოლთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ძანარდის უბედურებისა და იმის გათვალისწინებით, რომ შარშან „მონცაზე" დასაწყისშივე მომხდარმა მასიურმა ავარიამ ტრასის ერთ-ერთი მარშლის სიცოცხლე იმსხვერპლა, ყველას მოუწოდა, ამჯერად სტარტიდან მესამე მოსახვევამდე გაფრთხილებულიყვნენ და ერთმანეთის გასწრება არ ეცადათ, რათა კიდევ რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდნენ. ზოგმა ეს რჩევა იუარა, ჩვეულებრივად ვირბოლოთო. საბედნიეროდ, ამჯერად არავითარ გართულებას ადგილი არ ჰქონია და იტალიის 52-ე დიდი პრიზის გათამაშებამ უმტკივნეულოდ ჩაიარა. ერთადერთი, მცირე შეხლა-შემოხლა ბატონის მიზეზით პირველ მოსახვევში მოხდა, რის შედეგადაც იარნო ტრული ბრძოლას გამოეთიშა, ხოლო მიკა ჰაკინენმა ექვსი პოზიცია დაკარგა და მე-13 გახდა.

ქარავანს სათავეში ედგა მონტოია, რომელმაც წინა დღეს კვალიფიკაცია შთამბეჭდავი, სარეკორდო შედეგით მოიგო და რბოლაში სტარტიც ყველაზე უკეთ აიღო. მას რუბენს ბარიკელო, რალფ და მიხაელ შუმახერები მიჰყვებოდნენ. მოგეხსენებათ, მიხაელ შუმახერის მიერ ვადამდე, ოთხი ეტაპით ადრე მეოთხე ტიტულის მოპოვების შემდეგ მთავარი ინტრიგა ვიცე-ჩემპიონობისთვის ბრძოლა გახდა. მეორე ადგილის რეალური შანსები აქვთ კულჰარდს, ბარიკელოსა და უმცროს შუმახერს. ამდენად, უკვე დასაწყისში რუბენსმა გარკვეული უპირატესობა მიიღო კონკურენტებზე, რომლებიც მის უკან აღმოჩნდნენ. რალფმა გაიბრძოლა და პირველ მოსახვევში ძმას შეასწრო კიდეც, მაგრამ რამდენიმე წამში მიხაელმა პოზიცია დაიბრუნა. მეცხრე წრეზე კი რბოლის თავში ბარიკელო აღმოჩნდა. ბრაზილიელმა ადვილად აუარა გვერდი ოდნავ შეფერხებულ მონტოიას, მერე კი ისეთი ტემპი განავითარა, რომ ყოველ წრეზე ლამის წამით ზრდიდა უპირატესობას.

ფერარელების გაცილებით მაღალი სისწრაფის მიზეზი მალე გახდა ცნობილი — ორივემ ზუსტად გზის მესამედის გავლის მერე მიაკითხა ბოქსებს. ეს კი ნიშნავდა, რომ „სკუდერიას" ორი პიტსტოპის ტაქტიკა აერჩია და ამგვარად, ანუ შემსუბუქებული ავზებით აპირებდა „უილიამსების" უფრო ძლიერი ძრავების უპირატესობის გაბათილებას. ჩანაფიქრს იქნებ სასურველი შედეგიც მოეტანა, რომ არა „ფერარის" მექანიკოსთა უნიათობა — ბოქსებში ბარიკელოს პირველი სტუმრობისას მის მანქანას ვერაფრით მოარგეს საწვავის ჩასატუმბი შლანგი, რის გამოც სულ ცოტა, ხუთი-ექვსი წამი დაიკარგა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რა დრო წააგო ბრაზილიელმა გამარჯვებულთან, ცხადია, ეს შემთხვევა რომ არა, პირველობისათვის ბრძოლა მეტად დაძაბული [illegible] და ჯერავინ იტყვის, როგორ [illegible].

მეორე, ამჯერად ნორმალური პიტსტოპის შემდეგ რუბინიო რალფის უკან აღმოჩნდა, მაგრამ კიდევ ერთხელ იყოჩაღა, ფინიშამდე ოთხი წრით ადრე მეტოქეზე გადამწყვეტი იერიში მიიტანა და რთული, მაგრამ ოსტატური მანევრით უკან ჩამოიტოვა.

„უილიამსის" ერთ პიტსტოპიანმა ტაქტიკამ „ფერარისას" აჯობა — წლეულს პირველად ორივე პილოტი ერთად დადგა პოდიუმზე. აღსანიშნავია, რომ მონტოიამ თავის მე-15 რბოლაში შეძლო პირველი გამარჯვების მოპოვება.

მანამდე მომხდარმა ტრაგედიებმა, ცხადია, გამარჯვების სიხარული დაჩრდილა. პრიზიორებს ხტუნვა და ხელების ქნევა არ დაუწყიათ, არც შამპანურის ბოთლებს გაეკარნენ.

— მადლობა ღმერთს, ეს უმძიმესი უიკენდი ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანად დასრულდა. საწყენია, რომ რუბენსმა რბოლის მოგება ვერ შეძლო, თუმცა უმთავრესი ისაა, რომ დღეს ცუდი არაფერი მომხდარა. ყველა ჩვენგანის ფიქრები ახლა ალესანდროსთანაა. მთელი გუნდის სახელით ვუსურვებ მას გამოჯანმრთელებას — აღნიშნა მიხაელ შუმახერმა.

მომდევნო ეტაპი 30 სექტემბერს ინდიანაპოლისში უნდა გაიმართოს, თუმცა ჯერ ცნობილი არაა, შეძლებს თუ არა აშშ სამეფო რბოლების მასპინძლობას.

**გია ახალაძე**



რბოლის ერთადერთ ინციდენტს საბედნიეროდ გართულება არ მოჰყოლია

## რბოლის შედეგები

### იტალიის დიდი პრიზი

16 სექტემბერი. მონცა
დისტანცია — 53 წრე — 306,500კმ

| | |
|---|---|
| 1. მონტოია (უილიამსი) | 1:16.58,493 (239,103 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 5,175 |
| 3. რ. შუმახერი (უილიამსი) | 17,335 |
| 4. მ. შუმახერი (ფერარი) | 24,991 |
| 5. დე ლა როსა (იაგუარი) | 1.14,984 |
| 6. ვილნევი (BAR) | 1.22,469 |
| 7. რაიკონენი (ზაუბერი) | 1.23,107 |
| 8. ალეზი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 9. პანი (BAR) | 1 წრით |
| 10. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით |
| 11. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12. ენგე (პროსტი) | 1 წრით |
| 13. ალონსო (მინარდი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ბერნოლდი (ეროუსი) | გაიარა 46 წრე |
| იონგი (მინარდი) | 44 |
| ფრენცენი (პროსტი) | 28 |
| ფერსტაპენი (ეროუსი) | 25 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 19 |
| ირვინი (იაგუარი) | 14 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 6 |
| ბატონი (ბენეტონი) | 4 |
| ტრული (ჯორდანი) | 0 |

**საუკეთესო წრე**

რ. შუმახერი 1.25,073 (245,1კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 6 | - | 10 | 10 | 3 | | | 107 |
| 2 კულჰარდი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | 3 | - | - | 4 | 6 | - | | | 57 |
| 3 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | 4 | 4 | 6 | 6 | 2 | 6 | | | 54 |
| 4 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | 6 | - | 10 | 3 | - | 4 | | | 48 |
| 5 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | 3 | - | - | - | 10 | | | 25 |
| 6 ჰაკინენი (მაკლარენი, ფინეთი) | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | - | 10 | - | 2 | 3 | - | | | 24 |
| 7 ვილნევი (BAR, კანადა) | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | - | - | 4 | - | - | 1 | | | 12 |
| 8 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | 1 | 1 | - | 1 | - | - | | | 10 |
| 9 ტრული (ჯორდანი, იტალია) | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | 2 | - | - | - | - | - | | | 9 |
| 10 რაიკონენი (ზაუბერი, ფინეთი) | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | - | 2 | - | - | - | - | | | 9 |

ფიზიკელა (ბენეტონი) — 8; ფრენცენი (პროსტი) — 6; პანი (BAR), ალეზი (ჯორდანი) — 5; ირვინი (იაგუარი) — 4; დე ლა როსა (იაგუარი) — 3; ბატონი (ბენეტონი) — 2; ფერსტაპენი (ეროუსი) — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | 14 | 10 | 6 | 16 | 12 | 9 | | | 161 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | 3 | 10 | - | 6 | 9 | - | | | 81 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | 6 | 3 | 10 | 3 | - | 14 | | | 73 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | 1 | 3 | - | 1 | - | - | | | 20 |
| 5 BAR | - | - | 3 | - | 4 | 2 | 3 | - | - | - | - | 4 | - | - | 1 | | | 17 |

ჯორდანი — 16; ბენეტონი — 10; იაგუარი — 7; პროსტი — 4; ეროუსი — 1 ქულა

# რუსები ტაშკენტში წაკინკლავდნენ

ტაშკენტი (უზბეკეთი)
პრეზიდენტის თასი
ჰარდი. საპრიზო 550 $

**მეოთხედფინალი.** მარატ საფინი (1, რუსეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 3:6, 6:1, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 (9:7), 6:3; დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) — პარადორნ სრიჩაპჰანი (ტაილანდი) 7:6 (7:3), 6:2; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — სხენგ შალკენი (4, ჰოლანდია) 7:6 (7:2), 2:6, 6:4

**ნახევარფინალი.** საფინი — სარგსიანი 6:7 (3:7), 6:3, 7:6 (7:5); კაფელნიკოვი — ჰრბატი 6:7 (8:10), 6:2, 7:6 (10:8)

**ფინალი.** საფინი — კაფელნიკოვი 6:2, 6:2

შუააზიური ხვატისა და აკლიმატიზაციის პრობლემის მიუხედავად, რუსმა მარატ საფინმა მაინც შეძლო საქმის ბოლომდე მიყვანა, „პრეზიდენტის თასის" ფინალში თანამემამულე ევგენი კაფელნიკოვი წამოაქცია და ზედიზედ მეორედაც მოიგო ტაშკენტური ტურნირი.

ერთი შეხედვით ასეც უნდა მომხდარიყო, ორი რუსი ყველას სჯობდა და ფინალშიც ისინი უნდა დაჯახებოდნენ ერთმანეთს. მარატმაც და ჟენიამაც ერთმანეთთან შეხვედრამდე ბევრი იწვალეს, განსაკუთრებით ნახევარფინალში. სანამ ფინალში თამაშის უფლებას გაინაღდებდა, საფინს სიქა გააცალა ყოფილმა თანამემამულემ (საბჭოთა კავშირში), სომეხმა სარგის სარგსიანმა, რომელმაც განუთესავთაგან მარტომ მოახერხა ნახევარფინალში გაძრომა და რადგან იცოდა, რომ საბოლოოდ მაინც უნდა გავარდნილიყო, ცდილობდა, თავისი წაგება ძვირად დაესვა მეტოქისთვის. შავგვრემანი სომეხის და აზმაზი რუსის დაძაბულმა შეხვედრამ სეტთა მაქსიმუმი მოიცვა, თან ორი მათგანი ტაი-ბრეიკში დამთავრდა, ფინალის საგზური კი რუსს რამდენიმე ქულამ არგუნა.

უარესი დღე ადგა მეორე ნახევარფინალში მეორე რუსს. საფინის დარად, კაფელნიკოვს მეტოქის ძლევა სამსეტიან და ორტაიბრეიკიან მატჩში ოფლის ღვრად დაუჯდა, რამაც ჟენია სრულიად გამოფიტა და ფინალური მატჩისთვის მისხალი ენერგიის გარეშე დატოვა. თანამემამულეზე ახალგაზრდა საფინი კვირისთვის თავს უკეთ გრძნობდა, რაც ფინალური მატჩის ანგარიშიდანაც ჩანს — 6:2, 6:2. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ მეორე შემთხვევა, როდესაც ATP-ს ეგიდით გამართული ტურნირების ფინალში ორი რუსი შეეჯახა ერთმანეთს. პირველი რუსული შერკინებაში, 1994 წელს ადელაიდაში, კაფელნიკოვმა ალექსანდრ ვოლკოვი დაჩაგრა და ამასთან, პირველი ტიტულიც მოიგო. ამჯერად იგი თავად დაჯაბნეს.

კარიერის მეცხრე მოგებული ტურნირის გასამრჯელოდ საფინმა 74 ათასი დოლარი მიიღო.

ბუქარესტი (რუმინეთი)
გელსორ ოუფენი
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

**მეოთხედფინალი.** ჟერომ გოლმარი (6, საფრანგეთი) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 6:1, 3:6, 6:3; იუნეს ელ აინაუი (7, მაროკო) — ტომას ბეჰრენდი (გერმანია) 6:4, 5:7, 6:4; ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) — ხუან ბალსელსი (8, ესპანეთი) 7:5, 3:6, 6:1; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:4, 4:6, 7:5

**ნახევარფინალი.** ელ აინაუი — ვისენტე 7:6 (7:4), 6:4; მონტანესი — გოლმარი 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 6:4

**ფინალი.** ელ აინაუი — მონტანესი 7:6 (7:5), 7:6 (7:2)

20 წლის ესპანელმა ალბერტ მონტანესმა ბუქარესტში კარიერის პირველ ფინალში მიიღო მონაწილეობა, 30 წლის მაროკოელმა იუნეს ელ აინაუიმ კი იქვე თავისი მეორე ტიტული მოიპოვა. სანამ ყრმა ესპანელს მოუგებდა და ტურნირის გამარჯვებულისთვის გამზადებულ 54 ათას მწვანეს ჩაიჯიბავდა, საჩოგბურთო სიბერის პირზე შემდგარმა მაროკოელმა არცთუ იოლი გზა განვლო. მას ხშირად უთამაშია სამსეტიანი და ტაიბრეიკიანი მატჩები და ბედიც სწყალობდა, ტურნირის ყველა ბობოლა ფინალამდე გავარდა. ელ აინაუის ფინალშიც მოუწია ბრძოლამ. მომცრო ესპანელმა საათი და 55 წუთი აწვალა, სანამ ბადესთან ხელს ჩამოართმევდა და გამარჯვებას მიულოცავდა. ალბერტ მონტანესის ბუქარესტულმა მონაგარმა 31500 დოლარი შეადგინა.

სალვადორი. ბრაზილიის ღია პირველობა (ვაჟები). თიხნარი. საპრიზო 375 ათასი $

**მეოთხედფინალი:** აგუსტინ კალერი (7, არგენტინა) — გილერმო კანასი (2, არგენტინა) 7:6 (7:5), 6:4; ფერნანდო მელიგენი (5, ბრაზილია) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:1, 6:4; ალექსანდრე სიმონი (ბრაზილია) — რიკარდო მელო (ბრაზილია) 6:4, 6:3; იან ვაჩეკი (ჩეხეთი) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 1:6, 6:3, 6:2

**ნახევარფინალი.** მელიგენი — კალერი 7:6 (7:5), 7:5; ვაჩეკი — სიმონი 7:6 (7:5), 6:2

**ფინალი.** ვაჩეკი — მელიგენი 2:6, 7:6 (7:2), 6:3


REUTERS ბუქარესტიდან

იუნეს ელ აინაუიმ კარიერის დაისზე მეორედ ზეალმართა თასი

ბრაზილიის ღია პირველობას სამხრეთამერიკელები საკუთრებად თვლიან და ასეც არის. ოთხ მეოთხედფინალურ შეხვედრაში შვიდი ლათინელი ცდილობდა სალვადორული ტურნირის მოგებას, მაგრამ გამარჯვება მაინც სხვას, ერთადერთ არასამხრეთამერიკელს დარჩა. ფინალში მკვიდრი ბრაზილიელის ფერნანდო მელიგენის წამქცევი, ჩეხი იან ვაჩეკი, ბრაზილიელთა გულთა გასახეთქად, განთესილიც კი არ ყოფილა. ხალხის წყრომის გარდა, ვაჩეკმა სალვადორიდან 54 ათასი დოლარი წამოიღო.

სალვადორი. ბრაზილიის ღია პირველობა (ქალები). თიხნარი. საპრიზო 100 ათასი $

**ნახევარფინალი.** მონიკა სელეში (1, აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა (5, სლოვაკეთი) 7:5, 5:7, 6:3; ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:0, 6:2

**ფინალი.** სელეში — დოკიჩი 6:3, 6:3

ტურნირის მომგებმა მონიკა სელეშმა დიდი ძალა დაახარჯა ნახევარფინალური ბარიერის გადალახვას, მაშინ, როცა ფინალში მისმა მეტოქემ, ელენა დოკიჩმა ლამის ხელის გაუქნევლად შეძლო ფინალში გასვლა. თუმც ჯანიან მონიკას დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა. სელეშმა იოლად გაჭყლიტა პატარა დოკიჩი.

ვაიკოლოა (ჰავაი, აშშ)
თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $

**მეოთხედფინალი.** ჟუსტინ ენენი (1, ბელგია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0, 6:4; სანდრინ ტესტიუ (2, საფრანგეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:2, 6:4; ლაიზა რეიმონდი (4, აშშ) — ლილია ოსტერლო (8, აშშ) 2:6, 6:1, 6:3; მერისა ირვინი (აშშ) — მეილინ ტუ (7, აშშ) 6:1, 6:7 (5:7), 6:0

**ნახევარფინალი.** ენენი — რეიმონდი 6:2, 6:2, ტესტიუ — ირვინი 6:0, 6:1

**ფინალი.** ტესტიუ — ენენი 6:3, 2:0 (შეწყვეტა)

სამ ათეულ წელს მიტანებულ სანდრინ ტესტიუს 1998 წლის აქეთ ტურნირი არ მოეგო და ჰავაიზე ასე იოლად თუ ჩაუვარდებოდა ხელში ტურნირის მთავარი პრიზი, ნამდვილად არ ეგონა. ვეტერანმა ფრანგმა მეჩოგნემ მეტოქეებიც იოლად დაამარცხა და ფინალშიც თითქმის არ უშრომია. მისმა მოწინააღმდეგემ, წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტმა ჟიუსტინ ენენმა ტრავმის გამო შუა გზაზე შეწყვიტა ფინალური მატჩი.

**ირაკლი ფირაშვილი**

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
VI ტური
აინტრახტი 0:2 არმინია

## ინგლისი

პრემიერლიგა
VI ტური
ლესტერი 1:2 მიდლსბრო

პირველი დივიზიონი
VIII ტური
ნოტინგემი 2:0 როტერჰემი
შეფილდ უენსდი 1:1 ბრედფორდი

## შვეიცარია

A ჯგუფი
XI ტური
ლოზანა 0:3 სერვეტი

## ჩეხეთი

VII ტური
ბოჰემიანსი 1:0 სლავია

## იტალია

სერია B
IV ტური
ჩიტადელა 0:2 რეჯინა
ბარი 2:0 პალერმო

## დანია

VIII ტური
ლიუნგბიუ 1:1 ორჰუსი

## შვედეთი

XX ტური
ჰელსინგბორგი — ჰალმსტადი გადიდო
გიოტებორგი 4:0 მალმიო
ნორჩიოპინგი 0:0 იორგრიტე



საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი. I ტური

# ყოჩების და დათვების მატჩში ლელო ქათმებმა გაიტანეს

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა. 16 სექტემბერი

**ყოჩები 6:9 დათვები**

**ყოჩები:** კობერიძე (ზ. შენგელია), გრუტკო (ლიპარტელიანი), ტრაპაიძე, ციბაძე, კ. მხეიძე, ჯანელიძე, გიორხელიძე, ფირიაშვილი, ჩიქავა (გოლიაძე), ხურცილავა, გუშარაშვილი, ჩაკვეტაძე (გულუხია), ზესაშვილი, ჭელიძე, გ. ხაბეიშვილი
**2ს:** გიორხელიძე
**დათვები:** ს. ევგენიძე, დავლაძე, ხონელიძე, კაპანაძე, შავაძე, კიკნაძე, გ. ხელაძე, ნინიძე, ვ. შენგელია (მოქია), ღლონტი, კუნჭულია, რ. ბერიძე, ხაღომია (წულაძე), ი. სვანიძე, ფხაკაძე
**3ს:** კიკნაძე
**გაფრთხილება:** გუშარაშვილი (ყოჩები)
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** გელა მიქაბერიძე

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი ტურის მთავარ მატჩს ვარკეთილის მეურნეობამ უმასპინძლა. მიმდინარე პირველობაზე უნიათოდ მოთამაშე ვიცე-ჩემპიონი „ყოჩები" ცხრილის სათავეში მოკალათებულ ბათუმის „დათვებს" დაუხვდნენ.

მოლოდინის მიუხედავად, დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა „ყოჩები" — „დათვების" ჯახი. ეტყობა, შემადგენლობის გადახალისებამ თავისი გააკეთა. ორივე გუნდმა ვერაფრით იპოვა თავისი თამაში, რაც საბოლოოდ მატჩის სანახაობრივ მხარეზეც აისახა. თუ ვიცე-ჩემპიონები თაობათა ცვლის პროცესს უკვე კარგა ხანია, უჩივიან, ზღვისპირელებმა ეს მტკივნეული დრო უკან მოიტოვეს. თუმც „დათვებს" მორაგბეთა მიგრაციამ დარია ხელი და გვარიანად შეასუსტა ბზის თასის ერთ-ერთი ფავორიტი. „დათვების" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ ფარმ-კლუბიდან უხმო წასული მორაგბეების შემცვლელებს. ეგ არის, ახალწვეულები ბოლომდე ვერ მოერგნენ გუნდს, თორემ მონდომებას და გამარჯვებისკენ სწრაფვას ნამდვილად ვერ დაუკარგავ. ვერც „ყოჩების" ახალგაზრდებზე დაგვცდება ძვირი. რაც შეეძლოთ, ითამაშეს ბიჭებმა, მაგრამ მათზე ძლიერ მეტოქეს ბევრი ვერაფერი დააკლეს და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც.

დაუხაზავი დახვდათ გუნდებს მოედანი. ვერ გეტყვით, ვისი ბრალი იყო მოედნის მოუწესრიგებლობა. მასპინძელი „ყოჩების" თავკაცობა რაგბის კავშირს ადანაშაულებდა. კავშირის მესვეურები კი კლუბის უფროსობის უყურადღებობაზე მიუთითებდნენ. ერთი სიტყვით, რაც არის, არისო და მატჩიც დაიწყო.

თავიდან „დათვებმა" შეუტიეს, თუმც ლელომდე საქმე არ მისულა. „ყოჩები" ახერხებდნენ მეტოქის იერიშების შეჩერებას. ეპიზოდურად თბილისელებიც ცდილობდნენ შეტევისთვის, მაგრამ ზღვისპირელთა მწყობრ დაცვას აწყდებოდნენ და ლელოსთან მიახლოება უჭირდათ. ტაიმის მეტი წილი მოედნის შუაგულში ჯაჯგურში გაილია. საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ ტაიმი რაგბისთვის უჩვეულოდ, ფრედ 0:0 უნდა დამთავრებულიყო. აქ უკვე აღელდა „დათვების" თავკაცი ლევან მგელაძე, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო და შეხვედრას გულშემატკივრისთვის განკუთვნილი ადგილიდან ადევნებდა თვალს. ბათუმელთა მწვრთნელი ხმამაღალი შეძახილებით რჩევა-დარიგებებს აძლევდა შეგირდებს. როდესაც ტაიმის დასასრულს აღარაფერი უკლდა, „დათვების" დამრტყმელმა დავით კიკნაძემ საჯარიმო გოლად გარდასახა.

ვერც მეორე ნახევარი გამოდგა პირველზე უკეთესი. მხოლოდ დაძაბულობამ და უხეშობამ იმატა. მატჩის სურათი კი არ შეცვლილა — ისევ პრაგმატული ტაქტიკა და საჯარიმოებიდან ქულების მოხვეჭა. მეტოქეები რომ ვერ ახერხებდნენ ლელოში შეღწევას, იქ ქათმებმა გაინავარდეს. აუღელვებლად დასეირნობდნენ შინაური ფრთოსნები ლელოში და მხოლოდ მაშინ დატოვეს იქაურობა, როდესაც წამოჟინჟლა. მორაგბეები კი ვერც წვიმამ გამოაფხიზლა. მეორე ტაიმის შუაგულში ირაკლი გიორხელიძემ ბურთი ძელებს შორის გაატარა, თუმც რამდენიმე წუთში დავით კიკნაძემ „ყოჩებს" საპასუხო გაუტანა. ამის შემდეგ კიკნაძემ ხუთწუთიან მონაკვეთში ოთხჯერ (!) ამოკრა არეკნი, მაგრამ ოთხივე ააცილა. მატჩის დასრულებას ორიოდ წუთი აკლდა, როდესაც გიორხელიძემ და კიკნაძემ თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს და შეხვედრაც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა.

„ყოჩები" — „დათვების" დაპირისპირებას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელიც უცქერდა. მისეული მატჩისშემდგომი კომენტარი ასეთი იყო: „ორივე გუნდი სწორ რაგბის თამაშობს. მთავარია, ამ გზიდან არ გადაუხვიონ და ასევე გააგრძელონ. გამარჯვებას „დათვები" იმსახურებდნენ".

**ბაჩო სვანიძე**

ქუთაისი. დინამო. 16 სექტემბერი

**აია 15:9 ლოკომოტივი**

**აია:** ნამჩევაძე, სორდია, კუხიანიძე (ბინიძე), ზვიადაძე, თ. აშვეთია, მ. ნ[illegible]ლაძე (ლილუაშვილი), კ. გიორგაძე, კოპალიანი, ცნობილაძე, ბუხაიძე (ჭოლაძე), კოსტავა (დ. ბალანჩივაძე), მინაძე, ყურაშვილი, ტორაძე, საყვარელიძე
**2ლ:** მინაძე, კოსტავა; **1ს:** თ. აშვეთია; **1გ:** თ. აშვეთია
**ლოკომოტივი:** გუგავა, კოტრიკაძე, ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, კვინიხიძე, ბ. ბერიძე, მაჭუტაძე (კერესელიძე), ცხადაია, მზარეულიშვილი (ჯიბლაძე), ღლონტი (ქავთარაძე), ცხომელიძე, სვანიძე, სუჯაშვილი, მაისურაძე
**3ს:** კვინიხიძე
**გაფრთხილება:** საყვარელიძე (აია)
**გაძევება:** გუგავა (ლოკომოტივი)
**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი

მავანი სპეციალისტისათვის რომ გეკითხათ, ახალგაზრდულმა „აიამ" ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოწინავე ოთხეულში შეღწევით საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა და გათამაშების ახალ სტადიაზე სტატისტის როლი გარანტირებული აქვსო.

ვფიქრობთ, მცდარი აზრია და „აიამ" ეს გუშინწინ დაამტკიცა. ახალგაზრდულმა გუნდმა ბევრად გამოცდილი, ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი ისტუმრა და უშელავათო ბრძოლაში დაჯაბნა კიდეც.

თითქმის ორთვიანი არდადეგების პერიოდში ორივე გუნდის შემადგენლობაში საკმარისზე მეტი ცვლილება მოხდა, უძლიერესმა მოთამაშეებმა საფრანგეთს მიაშურეს, თუმც ამაზე ადრეც ბევრი თქმულა.

მასპინძლებმა ორგანიზებული, ჯიგრიანი თამაშის ხარჯზე საწყის ოც წუთში მიაღწიეს დიდ უპირატესობას და თორმეტი ქულით დაწინაურდნენ. მინაძემ და კოსტავამ გაარღვიეს რკინიგზელთა დაცვა, აშვეთიამ კი ორიდან ერთი გარდასახა. ტაიმის მიწურულს მასვე ერთი ხელსაყრელი საჯარიმო რომ გამოეყენებინა, სხვაობა უფრო გაიზრდებოდა. აშვეთიამ ეს შეცდომა თამაშის განახლებისთანავე საჯარიმოდანვე გამოასწორა და 15:0.

დაფაცურდნენ სტუმრები, თამაშის გადასარჩენად მცდელობა არ დაუკლიათ, მაგრამ ბევრს ვერაფერს გამორჩნენ. კვინიხის სამმა ზუსტმა საჯარიმო გასროლამ ისინი, რაღა თქმა უნდა, ვერ აწუგეშა. „აია" თავგამოდებით იგერიებდა სტუმართა მძლავრ იერიშებს და საბოლოო გამარჯვებაც ალალად შეირგო.

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 11 | 9 | 0 | 2 | 258:131 | 18 |
| ლოკომოტივი | 11 | 8 | 0 | 3 | 327:134 | 16 |
| აია | 11 | 6 | 0 | 5 | 162:173 | 12 |
| ყოჩები | 11 | 5 | 0 | 6 | 323:194 | 10 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge